ახალი განათლება

2012 წელი, 21 – 27 ივნისი

ფასი 1 ლარი 30 თეთრი

№24 (578) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

ქეთევან ქუჩუკაშვილი

„ვნანობ, რომ დღეს შიო მღვიმელის ქუჩაზე აღარ ვცხოვრობ. ქუჩაზე, სადაც ჩუმად ისევ ისმის მამას ფეხის ხმა, სადაც აკაციის თეთრი ყვავილებით იფინება იქაურობა, ხოლო შემოდგომაზე ყვითელი ფოთოლი აკრავს ასფალტს" – ეს სიტყვები ქალბატონ ქეთევან ქუჩუკაშვილის ინტერვიუდანაა, რომელიც რამდენიმე წლის წინ, ჩვენმა ჟურნალისტმა მაკა ყიფიანმა ჩაწერა სათაურით – „ქუჩა, სადაც ისევ ისმის შიო მღვიმელის ფეხის ხმა". 14 ივნისს, სამწუხაროდ, ეს ხმა, შიო მღვიმელის უკანასკნელი მემკვიდრის, ქალბატონ ქეთევანის გარდაცვალებასთან ერთად სამუდამოდ შეწყდა. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, უბინაოდ დარჩენილი მოხუცი მხოლოდ ერთი ოცნებით ცოცხლობდა, რომელიც, სამწუხაროდ, მხოლოდ ოცნებად დარჩა: „ამაზე ფიქრი მკლავს, თან მაცოცხლებს კიდეც. მე რომ ხვალ ბინა ვიყიდო და შიო მღვიმელის მუზეუმზე ზრუნვას შევუდგე, პირველ რიგში, იმ ორ ოთახს აღვადგენ, რომელშიც ვცხოვრობდით. ჩრჩილისგან შეჭმულ ფარდაგს კედელზე გავაკრავ და ზედ იისფერ, შინდისფერ და მწვანე ხავერდის ჩარჩოში ჩასმულ ილიას, რაფიელის და რუსთაველის სურათებს დავკიდებ..." დეტალურად აღწერს სახლ-მუზეუმს, სადაც ჩვენი ისტორია ცოცხლდება იმ მოკრძალებული არქივით, რომლითაც კიდევ ერთხელ გავიხსენებთ ადამიანებს, „მორიდებით რომ გამოიყურებიან, თუმცა მოსარიდებელი არაფერი აქვთ". „შიო მღვიმელის მეორე ოთახში კამოდს დავდგამ... ორ უჯრას თვითონ ხმარობდა, ორს ქალაქში ჩამოსული მისი მეგობრები იყენებდნენ ნაწერებისა და ტანისამოსის შესანახად, განსაკუთრებით მახსოვს ვაჟა-ფშაველა", მხატვრულად აღწერილ შიო მღვიმელის სახლ-მუზეუმში კამოდის თავზე ის სარკე უნდა განთავსებულიყო, რომელიც ჩვენი სასახელო ქართველი მწერლების ანარეკლს ინახავს. „უჰ, უცებ სარკემ რომ გვიჩვენოს ისინი, ვინც, რედაქციაში წასვლის წინ, კიდევ ერთხელ ჩაიხედეს სარკეში, იქნებ ნიკო მაჩხანელი ან ეკლოშვილი დაგვენახა". „ნუთუ ასე ძნელია ბნელ, ნახევაროთახში მიბრუნება, სადაც მამას საწერ მაგიდას დავდგამ და მცირე, მაგრამ მაინც საგულისხმო არქივს შევიტან" – ეს კითხვა ქალბატონი ქეთევანისთვის პასუხგაუცემელი დარჩა. ნუთუ მართლა ასე ძნელია? იქნებ სიცოცხლის შემდეგ მაინც ახდეს ქეთევან ქუჩუკაშვილის ოცნება და შიო მღვიმელის სახელის უკვდავსაყოფად გაკეთდეს მუზეუმი, სადაც დროისგან გაცვეთილი ნივთებითა და ნაწერებით დავაბრუნებთ შიო მღვიმელის ეპოქას.

17 ივნისს ქეთევან ქუჩუკაშვილი მამის საფლავზე, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაიკრძალა.

„მზეკაბანი-2007" ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?" ვიცე-ჩემპიონი გახდა

გვერდი 3

საუბარი ბიბლიაზე

გაბრწყინებული კარავი

გვერდი 4

მეთოდიკა

ფიზიკის პედაგოგთა დასახმარებლად

ელექტროსტატიკა

გვერდი 5

იურისტის კონსულტაცია

პედაგოგთა შეკითხვებს პასუხობს სამთა-ს იურისტი თამარ ავალიანი

გვერდი 8

სასკოლო ღონისძიება

სტუმრად გალაკტიონის სახლ-მუზეუმში

გვერდი 8

ინფორმაცია

* * *

საქართველოს მთავრობის ინიციატივით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სხვადასხვა მოქმედი სასწავლო პროგრამების ფარგლებში, დააფინანსებს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის) მცხოვრებ იმ პირთა სწავლას საქართველოსა თუ საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში, ვისაც, აღნიშნულ ტერიტორიებზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე, ლეგიტიმურად აქვს მინიჭებული პირადობის ნეიტრალური მოწმობა ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი.

აღნიშნული კანდიდატები ვალდებულნი არიან, დაფინანსების მოთხოვნამდე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოთხოვნილ სხვა დოკუმენტაციასთან ერთად, შესაბამის სამსახურში წარადგინონ იმ სააგენტოს მიერ გაცემული პირადობის ნეიტრალური მოწმობა ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს უფლებამოსილი ტერიტორიული სამსახურის მეშვეობით.

დამატებითი ინფორმაციისთვის, დარეკეთ სამინისტროს ცხელ ხაზზე: +995 322 200 220.

* * *

ერთიან ეროვნულ გამოცდებში დარეგისტრირებულთა საგამოცდო ბარათების გაცემა დაიწყო.

დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები საგამოცდო ბარათებს უშუალოდ სკოლებში მიიღებენ, სკოლადამთავრებული აბიტურიენტები და პედაგოგები კი – საგანმანათლებლო რესურსცენტრებში. მაგისტრანტობის კანდიდატებსა და გრანტის გაუმჯობესების მსურველებს კი, საგამოცდო ბარათები იმ უმაღლეს დაწესებულებებში დაურიგდებათ, სადაც ამჟამად სწავლობენ.

ბარათზე მითითებულია საგამოცდო ცენტრი, თითოეული გამოცდის თარიღი და რეგისტრაციის დაწყების დრო. პირადობის მოწმობასთან ერთად, ეს იქნება აბიტურიენტის საშვი მთელი საგამოცდო პროცესის განმავლობაში.

აბიტურიენტი უნდა გამოცხადდეს საგამოცდო ბარათში აღნიშნულ მისამართზე, ბარათში მითითებული განრიგის მიხედვით და გაიაროს რეგისტრაცია. რეგისტრაციის გავლის შემდეგ აბიტურიენტს მიაცილებენ სამუშაო მაგიდასთან, სადაც იგი მიიღებს ტესტს. დაგვიანების შემთხვევაში, აბიტურიენტი გამოცდაზე არ დაიშვება.

2012 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 35 000-ზე მეტი აბიტურიენტი დარეგისტრირდა.

* * *

იუსტიციის სახლებსა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების გაცემა დაიწყო. სკოლის კურსდამთავრებულმა ატესტატის მისაღებად უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. განცხადების წარდგენიდან მე-10 სამუშაო დღეს დოკუმენტი უფასოდ გაიცემა, მოქმედებს დაჩქარებული მომსახურების სერვისიც და ატესტატის მიღება შესაძლებელია განცხადების წარდგენის დღიდან მე-5, მე-3, მე-2 და იმავე სამუშაო დღესაც.

რუსთავის იუსტიციის სახლში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა და იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გიორგი ვაშაძემ რუსთავის №4 საჯარო სკოლის რამდენიმე კურსდამთავრებულს ატესტატები პირადად გადასცეს.

ზოგადი განათლების დამადასტურებელ სახელმწიფო დოკუმენტს განეკუთვნება სრული ზოგადი განათლების ატესტატი, საბაზო ზოგადი განათლების ატესტატი და ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სერტიფიკატი:

♦ სრული ზოგადი განათლების ატესტატს მიიღებს პირი, რომელიც 12 კლასს დაამთავრებს და გამოსაშვებ გამოცდებს ჩააბარებს;

♦ საბაზო ზოგადი განათლების ატესტატს იღებს პირი, რომელიც 9 კლასს დაამთავრებს;

♦ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სერტიფიკატს მიიღებს პირი, რომელიც 12 კლასს დაამთავრებს, მაგრამ ვერ ჩააბარებს ან მონაწილეობას არ მიიღებს სკოლის გამოსაშვებ გამოცდებში.

იუსტიციის სახლები და სააგენტოები, ატესტატებისა და სერტიფიკატების გაცემას მონაცემთა ელექტრონული ბაზის საფუძველზე უზრუნველყოფენ. მონაცემთა ელექტრონულ ბაზას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საინფორმაციო სისტემა შესაბამისი ინფორმაციის საფუძველზე ადგენს. იუსტიციის სახლებსა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში მოხდება ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის ფორმების დუბლიკატების გაცემაც.

* * *

რუსი ექსპერტი და მწერალი ლარისა ბურაკოვა განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებს უშუალოდ გაეცნო, შეხვდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრს დიმიტრი შაშკინს, ეწვია პირველი ექსპერიმენტული სკოლის „მომავლის კლასს“, პროფესიულ კოლეჯ „იკაროსსა“ და მასწავლებლის სახლს.

რუსი ექსპერტი უშუალოდ გაეცნო იმ სწავლების მეთოდებს, რასაც მასწავლებლები „მომავლის კლასის“ მეშვეობით იყენებენ. „მომავლის კლასი“ ულტრათანამედროვე ტექნიკითაა აღჭურვილი, კლასში დამონტაჟებულია ინტერაქტიული „ჭკვიანი დაფა“ და სენსორული მონიტორები. ულტრათანამედროვე ტექნიკის გამოყენებით მასწავლებლებს საშუალება ეძლევათ, ჩაატარონ ინტეგრირებული გაკვეთილები, ხოლო სპეციალური მონიტორები სასწავლო პროცესში მოსწავლეების მაქსიმალურ ჩართულობას უზრუნველყოფს.

„მომავლის კლასში“ მასწავლებელს საშუალება აქვს, მონიტორის საშუალებით, თვალყური ადევნოს მოსწავლეების მუშაობას, საჭიროების შემთხვევაში, გაუწიოს მათ დახმარება, გაუგზავნოს კომენტარი და მისცეს რჩევები.

პროფესიულ კოლეჯ „იკაროსში“ სტუმარი სასწავლებლის საქმიანობასა და ინფრასტრუქტურას გაეცნო. „იკაროსში“ სპეციალისტების გადამზადება ტურიზმის მიმართულებით შემდეგ სპეციალობებზე მიმდინარეობს: მზარეული; ბარმენი; ოფიციანტი; სასტუმროს მიღება-განთავსებისა და დაჯავშნის სპეციალისტი; კულინარიული ხელოვნების სპეციალისტი; სარესტორნო საქმის სპეციალისტი; სასტუმრო საქმის სპეციალისტი.

ექსპერტი მასწავლებლის სახლსაც ეწვია და დაათვალიერა მასწავლებლის სახლში არსებული ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, საკონფერენციო დარბაზი და ტრენინგოთახები. ცენტრის ექსპერტებთან ერთად, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მეშვეობით, ერთ-ერთ ექსპერიმენტშიც მიიღო მონაწილეობა. მასწავლებლის სახლში ტრენინგები ერთმანეთის პარალელურად, ყოველდღიურად, 300-მდე პედაგოგს ჩაუტარდება.

მასწავლებლის სახლი 24-საათიან რეჟიმში მუშაობს და პედაგოგებს სხვადასხვა მიმართულებით ემსახურება – მოკლე და გრძელვადიანი ტრენინგები პროფესიულ უნარებსა და ყველა სასკოლო საგანში, სემინარები, კონფერენციები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები ინგლისურ ენაში, კომპიუტერსა და მენეჯმენტში. აქვე ეწყობა თანამედროვე საგანმანათლებლო ლიტერატურის განხილვები ავტორების მონაწილეობით, უცხოელი და ქართველი ტრენერები ატარებენ სამოდელო გაკვეთილებსა და მასტერკლასებს სხვადასხვა საგნებში და ხორციელდება ლაივკონფერენციები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განთავსებულ სკოლებთან.



ლარისა ბურაკოვა ავტორია წიგნისა „რატომ გამოუვიდა საქართველოს“, რომელიც ორი წლის წინ გამოვიდა და დიდი დაინტერესება გამოიწვია. წიგნი ეხება საქართველოში გატარებულ რეფომებს, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს და იმ წარმატებების აღწერას რასაც მოკლე დროში საქართველომ მიაღწია.

ლარისა ბურაკოვა კვლავ საქართველოშია და თავისი წიგნისთვის აგროვებს დამატებით ინფორმაციას, რადგან წიგნი უკვე უკრაინაში დაიბეჭდება და უკრაინულად ითარგმნება.

* * *

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ და განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა თბილისის საჯარო სკოლების 150 მეათეკლასელს პერსონალური კომპიუტერები გადასცეს. დაჯილდოებულმა მოსწავლეებმა 2012 წელს წარჩინებით დაამთავრეს საბაზო საფეხური (მე-7, მე-8 და მე-9 კლასები). წელს, საქართველოს

მასშტაბით, კომპიუტერებით სულ 1022 წარმატებული მოსწავლე დაჯილდოვდება.

პროექტი, პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის ფარგლებში, ყოველწლიურად ხორციელდება და მისი მიზანია საქართველოს სკოლების წარჩინებული მოსწავლეების წახალისება და თანამედროვე ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

2012 წელს პროგრამის ბენეფიციარებად განისაზღვრნენ საჯარო სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც 2011/2012 სასწავლო წელს საბაზო საფეხური დაასრულეს და მათი საფეხურის ნიშანია 10 ქულა (დამრგვალების გარეშე).

წარჩინებულ მოსწავლეთა ამ მიმართულებით წახალისება მომავალშიც გაგრძელდება.

* * *

მცხეთაში „სეზონური ხილის ფესტივალი“ გაიმართა. მანდატურები და მცხეთის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეები ფესტივალს შეუერთდნენ.

აქციის ფარგლებში, სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ ფესტივალზე დაეგემოვნებინათ როგორც ხილი, ასევე ხილისგან წარმოებული სხვადასხვა პროდუქტი – ტკბილეული, ნაყინი და გამაგრილებელი სასმელები. მანდატურებმა და მოზარდებმა ფესტივალზე სხვადასხვა სახის დეკორატიული სახილეები დაათვალიერეს, ფესტივალის ორგანიზატორებმა ბავშვებს დამზადების ტექნოლოგიები განუმარტეს.

ფესტივალი, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ, პროექტ „შემოიარე საქართველოს“ ფარგლებში ჩატარდა.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით, სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის ჩატარდა პროექტების კონკურსი „შეიცანი და გააცანი შენი მხარე ტურიზმის განვითარების მიზნით“. კონკურსში მონაწილეობდა საქართველოს საჯარო სკოლების 3-5 მოსწავლისაგან დაკომპლექტებული 100 გუნდი. კომისიამ სამი გამარჯვებული გუნდი გამოავლინა. გამარჯვებულები 4000 ლარითა და დიპლომებით დაჯილდოვდნენ. 10 გუნდს კი, კონკურსში წარმატებული მონაწილეობისათვის, წამახალისებელი სიგელები გადაეცა.

კონკურსი „შეიცანი და გააცანი შენი მხარე ტურიზმის განვითარების მიზნით“ ორიენტირებული იყო მოსწავლეთა მიერ, მათ მხარეში/ქალაქში ტურისტების მოზიდვის მიზნით, ლოკალური გარემოს შესწავლაზე. საბოლოო პროდუქტის სახით მოსწავლეებს უნდა წარმოედგინათ ტურისტული პაკეტი, რომელშიც ასახული იქნებოდა მომსახურების წინასწარ განსაზღვრული ნაკრები: მგზავრობა, დაბინავება, კვება, ექსკურსიები და ა.შ., რომელიც გაფორმებული იქნებოდა ტურისტის მოგზაურობის მიზნებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის ნათია ჯოხაძის განცხადებით, ასეთი კონკურსები მოსწავლეებს, სხვადასხვა საგანში შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენების საფუძველზე, კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარ-ჩვევებს უვითარებს.

ღონისძიების დასასრულს, გამარჯვებული გუნდების წარმომადგენლებმა თავიანთი ნამუშევრების პრეზენტაცია გამართეს.

საქართველოს სახალხო განათლებამ, აფხაზეთის პედაგოგიურმა საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა, 73 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს და აფხაზეთის დამსახურებული მასწავლებელი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების მინისტრის ყოფილი მოადგილე, ქალაქ სოხუმის განათლების განყოფილების გამგე, იაკობ გოგებაშვილის მედლის მფლობელი, ქალბატონი

დაგმარა ნიკოლოზის ასული კუჩეროვა-ნინიძე

სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
განათლებისა და კულტურის სამინისტრო

„მზეკაბანი-2007“ ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ ვიცე-ჩემპიონი გახდა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს კლუბ „რა? სად? როდის?“ ინიციატივით განხორციელდა პროექტი – „ინტელექტის დღე“. ინტელექტუალურ ჩემპიონატში მონაწილეობდა საქართველოს 69 მუნიციპალიტეტის 1196 სკოლის 9568 მოსწავლე.

ჩემპიონატი ორ ეტაპად ჩატარდა. პირველ ტურში გამოვლინდა საუკეთესო 69 გუნდი (თითო გუნდი თითო მუნიციპალიტეტიდან), რომლებიც 9 ივნისს სათამაშოდ შეიკრიბნენ თბილისში.

ეს დღე წარუშლელი იქნება „მზეკაბანელთა“ ისტორიაში, რადგან ამ დღეს სკოლის გუნდი, რომლის წევრებიც არიან: **თამარ მახვილაძე, გიორგი დოლაკიძე, ანა სიმონგულაშვილი, ილია ბუცხრიკიძე, ანი კირკიტაძე, ია დოლაკიძე, არჩილ სიმონგულაშვილი, გვანცა დოლაკიძე,** ინტელექტუალური თამაშის ვიცე-ჩემპიონები გახდნენ.

აზა მემანიშვილი, თერჯოლის კერძო სკოლა „მზეკაბანი-2007“-ის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში: *„მიმდინარე სასწავლო წელი მეტად „უხვმოსავლიანი“ აღმოჩნდა თერჯოლის კერძო სკოლა „მზეკაბანი-2007“-სათვის:*

- *დასავლეთ საქართველოს ჩემპიონის ტიტული სასკოლო დებატებში – „გზა პარლამენტისაკენ“;*
- *ზედიზედ მეოთხე გამარჯვება რაიონის ინტელექტუალურ თამაშში – „უხილავი-ხილული“;*
- *გამარჯვება გეოგრაფიის ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში;*
- *მაღალი შედეგები საატესტატო გამოცდებზე.*

დაბოლოს, ამ წარმატებათა გვირგვინი გახდა ვიცე-ჩემპიონის ტიტული, რომელიც სკოლის ინტელექტუალთა გუნდმა მოიპოვა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს კლუბ „რა? სად? როდის?“ ინიციატივით ჩატარებულ ჩემპიონატში“.

ყველაფერი მიმდინარე წლის 12 მაისს დაიწყო, როცა გუნდმა რაიონის 25 სკოლას შორის გამართულ შეხვედრაში სამართლიანად მოიპოვა ფინალის საგზური.

9 ივნისი, ალბათ, ინტელექტუალთა გუნდის არც ერთ წევრს და არც მათ გულშემატკივარს არ დაავიწყდება. ფინალურ შეხვედრას საქართველოს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზი მასპინძლობდა. შეხვედრა მიყავდა ელიტარული კლუბის „რა? სად? როდის?“ წამყვანს, **გიორგი მოსიძეს.** შეხვედრას აფასებდა მეტად კომპეტენტური ჟიური – საქართველოს ინტელექტუალთა ნაკრები გუნდის წევრები: საქართველოს ყველა დროის ყველაზე ტიტულოვანი მოაზროვნე **გიორგი ბაქრაძე,** ბროლის ბუს მფლობელები – **ია მეტრეველი, დავით რაფავა** და 2008 წლის შესარჩევი თამაშების საუკეთესო მოაზროვნე **გიორგი ლომიძე**. ღონისძიებას ესწრებოდა და ორგანიზებას უწევდა კლუბის უხუცესი წევრი, ყველასთვის საყვარელი **ლაშა კილაძე.**

შეჯიბრში რესპუბლიკის 69 უძლიერესი გუნდი უნდა შეხვედროდა ერთმანეთს, კენჭისყრის შემდეგ თერჯოლას 26-ე ნომერი შეხვდა. თამაში 3 ტურად წარიმართა, ყოველი თორმეტი შეკითხვის შემდეგ წამყვანი დარბაზს რეიტინგს აცნობდა. პირველი ტურის შემდეგ თერჯოლელები მეორე ადგილს იყოფდნენ სამ გუნდთან ერთად. ამ შედეგმა მოთამაშეებს უდიდესი სტიმული მისცა და გადაწყვიტეს, ებრძოლათ გამარჯვებისათვის (თამაშის წინ გუნდი ათეულში მოხვედრას გეგმავდა).

სიტუაცია დაიძაბა მეორე ტურში, შეკითხვები თანდათან გართულდა. ამ ტურის შემდეგ გუნდი კვლავ მეორე ადგილს ინარჩუნებდა და მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩებოდა ბათუმის მუნიციპალიტეტის გუნდს. გუნდის ყველა მონაწილემ იცოდა, რომ თამაშის ბედს ბოლო – მესამე ტური გადაწყვეტდა, სადაც საკმაოდ რთულ კითხვებზე უნდა გაეცათ პასუხი.

31-ე შეკითხვის დასმის შემდეგ წამყვანმა გიორგი მოსიძემ იკითხა, *მოვახერხეთ რამდენიმე ძალიან რთული შეკითხვის „აღება“ და ამით თვით მსოფლიოს უძლიერესი მოაზროვნის* ***გიორგი ბაქრაძის*** *სიმპატიაც კი დავიმსახურეთ. თამაშის ბოლომდე დარბაზის დიდი ნაწილი ჩვენ გვგულშემატკივრობდა. ჩვენთვის ეს წარმატება უდიდესი სტიმულია. დარწმუნებული ვარ, მომავალში კიდევ უფრო*



სად იჯდა თერჯოლის გუნდი და მონაწილეებს ფეხზე წამოდგომა სთხოვა. შემდეგ მიუახლოვდა მათ და უთხრა: „რამ „გადაგრიათ“, თერჯოლელებო, თვით გიორგი ბაქრაძის გაოცებაც კი შესძელითო“.

საქმე იმაში გახლდათ, რომ 31-ე შეკითხვაზე სწორი პასუხი, რომელიც ერთ-ერთ ურთულეს შეკითხვად შეიძლება ჩაითვალოს, 68 გუნდიდან მხოლოდ თერჯოლის გუნდს ჰქონდა. ამის შემდეგ „მზეკაბანელებმა“ ზედიზედ 4 ქულა აიღეს და არც კი იცოდნენ, რომ ჩემპიონობამდე ერთი პატარა ნაბიჯი – 1 ქულა სჭირდებოდათ. საბოლოო შედეგებით გუნდი მეორე ადგილზე გავიდა.

მეტად ამაღელვებელი და სასიამოვნო გახლდათ დაჯილდოების ცერემონიალი. გუნდის თითოეულ წევრს სათანადო სერტიფიკატი და პრიზი გადაეცა.

ახლა თავად ვიცე- ჩემპიონებს მოვუსმინოთ:

გიორგი დოლაკიძე, გუნდის წევრი: *„ბავშვები ჯერ კიდევ შთაბეჭდილებების ქვეშ ვართ. თამაში თავიდანვე ძალზე დაძაბულად წარიმართა, იყო საინტერესო შეკითხვები. ჩვენ დიდ წარმატებებს მივაღწევთ.*

მინდა დიდი მადლობა ვუთხრა რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს, ბატონ ***ზურაბ ბუცხრიკიძეს,*** *თერჯოლის მუნიციპალიტეტისა და რესურსცენტრის წარმომადგენლებს. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ჩვენი დირექტორის, ქალბატონ* ***ნინელი გვენეტაძისა*** *და პედაგოგების დამსახურება, რომელთაც ლომის წილი დადეს ჩვენს წარმატებაში“.*

ანა სიმონგულაშვილი, გუნდის წევრი: *„რამდენიმე განსაკუთრებულ ეპიზოდზე მინდა გიამბოთ.*

31-ე შეკითხვის პასუხის მოსმენის შემდეგ ოვაცია გამოვხატეთ, მიმოვიხედეთ და ფეხზე მარტო ჩვენ ვიდექით, შეგვრცხვა და დავსხედით. უცებ ვერ გავიაზრეთ, რა ხდებოდა, შემდეგ კი მივხვდით, რომ მხოლოდ ჩვენს გუნდს ჰქონდა სწორი პასუხი ამ შეკითხვაზე. ეს მომენტი ჩვეულებრივად ჩაივლიდა, რომ არა მოწინააღმდეგე გუნდებისა და დარბაზის რეაქცია, ყველა ტაშს გვიკრავდა.

შემდეგ წამყვანმა გიორგი მოსიძემ იკითხა, სად ზის თერჯოლის გუნდიო და ფეხზე მდგომებს მოგვმართა: „თქვენ თავად გიორგი ბაქრაძის გაოცებაც კი შეძელითო“. ბედნიერებისგან თითქოს სუნთქვა შეგვეკრა.

თამაშის დასრულების შემდეგ, საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე, ჩვენს მაგიდასთან გიორგი ბაქრაძე მოვიდა, წინასწარი შედეგი გაგვაცნო და გაგვამხნევა.

დღემდე მიჭირს დაჯერება, რომ ამ უდიდესი მოაზროვნის სიმპატია დავიმსახურეთ.

ვიცე-ჩემპიონობა გიორგი მოსიძემ, ია მეტრეველმა და ლაშა კილაძემაც საკმაოდ ემოციურად მოგვილოცეს. ვერანაირი ადგილი და პრიზი ვერ შეედრება ამ ბედნიერ წუთებს. ულრმესი მადლობა მათ“.

ია დოლაკიძე, გუნდის წევრი: *„უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობდით არა მარტო სკოლის, არამედ რაიონის წინაშეც. გვიხარია, რომ იმედი გავამართლეთ. მადლობა თანადგომისა და ჩვენი შრომის დაფასებისთვის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს, ბატონ* ***ზურაბ ბუცხრიკიძეს,*** *თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ* ***ტარიელ ფანჩულიძეს,*** *მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ* ***მიხეილ კვატაიას,*** *მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს, ბატონ* ***ზურაბ ჩაფიჩაძეს,*** *საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელს, ქალბატონ* ***სოფიკო სიუკაევას,*** *ყველა გულშემატკივარს.*

მადლობა სკოლის დირექტორს, ქალბატონ **ნინელი გვენეტაძეს,** *ყველა ჩვენი წარმატების ორგანიზატორს და თანამონაწილეს“.*

ანი კირკიტაძე, გუნდის წევრი: *„ასეთი შემართებული და მობილიზებული, 9 ივნისს რომ გახლდით, არც ერთ კონკურსზე არ ვყოფილვარ. გუნდის თითოეული წევრი უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობდით სკოლისა და, უპირველეს ყოვლისა, მთელი რაიონის წინაშე, რადგან ასეთი მაღალი დონის შეჯიბრში პირველად ვმონაწილეობდით და თერჯოლის სახე უნდა გვეჩვენებინა. მღელვარება დიდი იყო, მაგრამ პირველი შედეგების გამოცხადების შემდეგ დავრწმუნდით, რომ გარკვეულ წარმატებას მივაღწევდით.*

როცა საბოლოო შედეგები გამოცხადდა, ცრემლები ვერ შევიკავე... ვიცე-ჩემპიონობა კარგია, მაგრამ ჩემპიონობამდე მხოლოდ ერთი ქულა დაგვაკლდა (გული დამწყდა, რომ 4 შეკითხვაზე სწორი ვერსია გვქონდა და სხვა დავაფიქსირეთ).

ვულოცავ ბათუმის გუნდს ამ უდიდეს გამარჯვებას. მათ ღირსეულად დაიმსახურეს ჩემპიონის ტიტული.

ყველა ჯილდოზე უფრო მეტი გახლდათ ყველა დროის საუკეთესო მოაზროვნის, ***გიორგი ბაქრაძის*** *მოლოცვა, თანაგრძნობა, გამიხარდა, ჩვენმა გუნდმა მისი სიმპატია რომ დაიმსახურა. ამიტომ ჩემი ცრემლები ნამდვილად ღირდა, რომ მომესმინა მისგან ეს სიტყვები. თავი სიზმარში მეგონა, ჩვენს ირგვლივ, ასე ახლოს, ამდენ უდიდეს მოაზროვნეს ვხედავდი.*

თამაშისას უდიდესი სტიმული შეგვმატა იმან, რომ საგულშემატკივროდ მოვიდა ჩვენი სკოლის რამდენიმე კურსდამთავრებული, სკოლის ინტელექტუალური გუნდის სხვადასხვა პერიოდის ყოფილი კაპიტნები: ***შალვა ლოლაძე, ბაქარ კირკიტაძე, ბონდო მახვილაძე****. ვფიქრობ, მათი იმედები გავამართლეთ.*

ამ კონკურსმა დაგვარწმუნა, რომ შეგვიძლია მომავალში ჩემპიონობისთვის ვიბრძოლოთ“.

გვანცა დოლაკიძე, გუნდის წევრი: *„ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერება იყო ისეთ უდიდეს ქართველ მოაზროვნეებთან ერთად ყოფნა, როგორებიცაა გიორგი მოსიძე, დავით რაფავა, ია მეტრეველი, გიორგი ბაქრაძე, ლაშა კილაძე.*

მათთან ერთად ფოტოს გადაღებაზე არასდროს მიოცნებია, რადგან ეს შეუძლებლად მიმაჩნდა, ამ დღემ კი მომცა იმის საშუალება, ასეთ უდიდეს მოაზროვნეებთან ფოტო გადამეღო და მესაუბრა.

პრიზები ქალბატონმა ია მეტრეველმა გადმოგვცა, გიორგი მოსიძემ კი აღნიშნა, რომ ჩვენ აუცილებლად შევხვდებით ერთმანეთს ელიტარულ კლუბშიო. ჩვენ კი დავპირდით, რომ არ დავკმაყოფილდებით ამ შედეგით და აუცილებლად გვნახავენ მომავალშიც“.

ილია ბუცხრიკიძე, გუნდის წევრი: *„წარმატების იმედი ნამდვილად გვქონდა, მაგრამ მიღწეულმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.*

თამაშის წამყვანმა გიორგი მოსიძემ აღნიშნა, რომ გაიმარჯვეს იმ გუნდებმა, რომელთაც ინტელექტუალური თამაშების გამოცდილება ჰქონდათ. 4 წელია, ჩვენი სკოლის გუნდი რაიონის ინტელექტუალური თამაშების უცვლელი ჩემპიონია. წინაპირობა ნამდვილად გვქონდა.

მადლობა მინდა გადავუხადო პროექტის ორგანიზატორებს იმ ბედნიერებისთვის, რომელიც გუნდის წევრებმა მივიღეთ.

ასევე დიდი მადლობა სკოლის დირექტორს ქალბატონ ნინელი გვენეტაძეს და ყველა პედაგოგს. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ „მზეკაბანში“ ბევრი წარმატებული მოსწავლეა.

დაბოლოს, პირობას ვდებთ, რომ ამ მიღწევით არ დავკმაყოფილდებით და მომავალში უფრო დიდ წარმატებებს გპირდებით“.

საუბრები ბიბლიაზე

გაბრწყინებული კარავი

რუბრიკას უძღვება
მაკა თაქთაქიშვილი

„უთხრა უფალმა მოსეს: აიყარეთ აქედან შენ და ეგ ხალხი, ეგვიპტიდან რომ გამოიყვანე, და წადით იმ ქვეყნისკენ, რომელიც აღვუთქვი აბრაამს, ისაკს და იაკობს, შენს შთამომავლობას მივცემ-მეთქი“ (გამ. 33:1). უფალმა შეუნდო ხალხს კერპის თაყვანისცემის მძიმე ცოდვა, ის არ შეცვლის აბრაამთან, ისააკთან, იოსებთან დადებულ აღთქმას და კვლავაც იზრუნებს რჩეულ ერზე, თუმცა მისი დამოკიდებულება მაინც შეცვლილია: „ანგელოზს წაგიმძღვარებთ წინ და ავყრი ქანაანელებს, ამორეველებს, ხეთეელებს, ფერიზელებს, ხივიელებს და იებუსელებს... მე აღარ ვივლი შენს შორის, რადგან თვითრჯული ხალხი ხართ და ვაითუ მოგსპოთ გზაში“ (გამ. 33:2-3).

აღთქმაში, რომელიც მოსეს შუამდგომლობით უფალმა თავის ხალხთან შეხვედრის დროს დადო, იმის შესაბამისად, თუ ადამიანები მათ მიერ აღთქმულ მოვალეობას რამდენად გულრწფელად შეასრულებენ, როგორც კურთხევის, ისე დასჯის შესაძლებლობაა ნაგულისხმევი. ადამიანებს თავად შეუძლიათ აირჩიონ, სურთ თუ არა იყვნენ ღვთის მორჩილნი, თვითონ უნდა გადაწყვიტონ, გაჰყვებიან თუ არა უფლის მიერ შეთავაზებულ გზას. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ნაწყვეტი, სადაც უფალი ასე მიმართავს ებრაელ ხალხს: „უყურეთ, ასარჩევად გაძლევთ დღეს კურთხევას და შეჩვენებას: კურთხევას – თუ შეიგონებთ უფლის, თქვენი ღმერთის მცნებებს, რომელთაც გიცხადებთ დღეს, შეჩვენებას – თუ არ შეიგონებთ უფლის, თქვენი ღმერთის მცნებებს და გადაუხვევთ გზას, რომელსაც გიცხადებთ დღეს, და გაჰყვებით უცხო ღმერთებს, რომელთაც არ იცნობთ... რადგან თქვენ გადადიხართ იორდანეზე, რომ მიხვიდეთ იმ ქვეყნის დასამკვიდრებლად, რომელსაც გაძლევთ თქვენ უფალი, თქვენი ღმერთი. დაიმკვიდრებთ მას და იცხოვრებთ იქ. ეცადეთ, რომ შეასრულოთ წესი და სამართალი, რომელსაც დღეს ვიძლევი თქვენ წინაშე“ (რჯლ. 11:26-32). ამ შეთავაზების შემდეგ მოსე ასეთ რჩევას აძლევს ხალხს: „აჰა, დღეს გადმოვეცი შენს წინაშე სიცოცხლე და სიკეთე, სიკვდილი და ბოროტება, რითაც დაგარიგე, რომ გიყვარდეს უფალი, შენი ღმერთი, იარო მის გზაზე და დაიცვა მისი ნაბრძანები წესები და სამართალი. იცოცხლებ და გამრავლდები, გაკურთხებს უფალი, შენი ღმერთი... თუ აიყრი გულს და არ შეისმენ, აირევ გზაკვალს, უცხო ღმერთებს დაუწყებ თაყვანისცემას და სამსახურს, დღესვე გიცხადებთ, რომ დაიღუპებით... ვიმოწმებ დღეს თქვენ წინაშე ცას და მიწას: სიცოცხლე და სიკვდილი დაგიდევი წინ, კურთხევა და წყევლა. აირჩიე სიცოცხლე, რომ იცოცხლოთ შენ და შენმა შთამომავლობამ, გიყვარდეს უფალი, შენი ღმერთი, გესმოდეს მისი სიტყვა... რადგან ის არის შენი სიცოცხლე და შენი დღეგრძელება...“ (რჯლ. 30:15-20).

ამ საუბრის შემდეგ უკვე შეგრძნებადი გახდა დრო, როდესაც ეს აღთქმა არა მხოლოდ ებრაელ ხალხზე, არამედ მთელ კაცობრიობაზე უნდა გავრცელებულიყო. დინჯად და უშფოთველად ახლოვდებოდა წუთი, როდესაც კაცობრიობას და ყოველ ადამიანს ცალ-ცალკე ღმერთი თვითონ უნდა გამოცხადებოდა, პეტრეს უნდა ეცნო უფალი და მისთვის ეთქვა: „შენა ხარ ქრისტე, ძე ცოცხალი ღმრთისა“ (მათ. 16:16).

„თქვა ღმერთმა: ჩამოვატარებ მთელ ჩემს სიდიადეს შენ წინ და მოვუხმობ უფლის სახელს შენ წინაშე. შევიწყალებ, ვინც შესაწყალებელია, და შევიტკბობ, ვინც შესატკბობია. თქვა: ვერ შეძლებ ჩემი პირის ხილვას, რადგან ისე ვერ მიხილავს ადამიანი, რომ ცოცხალი დარჩეს“ (გამ. 33:19-20).

უფლის რჩეულობა ხალხისათვის, ისევე, როგორც ცალკეული ადამიანისთვის დიდი პასუხისმგებლობაა. რჩეულის განდგომა, მისი ღალატი სამაგალითო სასჯელს იმსახურებს. უფლის გადაწყვეტილება – უშუალოდ აღარ წარუძღვეს, არამედ ანგელოზმა უწინამძღვროს ერს – უფლის წყალობაა. თავად ხალხი ამ ამბავს სინანულითა და მწუხარებით შეხვდა, ხოლო მოსემ კიდევ ერთხელ შესთხოვა უფალს გამოეჩინა მოწყალება და არ წაერთმია ხალხისათვის თავისი მფარველობა. ხალხმა გლოვა გამოაცხადა. მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. გლოვის ნიშნად ისრაელელებმა უარი თქვეს სამკაულებზე, იმ სამკაულებზე, რომლებიც ოქროს ხბოს შექმნას გადაურჩა. სიმბოლურად, ეს სამკაულები უფალს უნდა შესწირონ. უფალი არ მიატოვებს ხალხს, ის დარჩება მათთან ახლოს, მაგრამ არ იქნება უშუალოდ მათ შორის.

ადგილი, სადაც უფალი გამოეცხადებოდა თავის ხალხს ბანაკიდან მოშორებით, სადღესასწაულო კარავში იქნებოდა. მოსემ „აიღო... კარავი და დაიდგა ბანაკს გარეთ, ბანაკის მოშორებით, და უწოდა სადღესასწაულო კარავი. ყველა, ვისაც კი რამე სათხოვარი ჰქონდა უფალთან, მიდიოდა სადღესასწაულო კარავთან, რომელიც ბანაკს გარეთ იდგა“ (გამ. 33:6). კარავში შესვლის უფლება მხოლოდ მოსეს ჰქონდა. „როგორც კი წავიდოდა კარვისკენ მოსე, ადგებოდა მთელი ხალხი და თავ-თავისი კარვის შესასვლელთან გაჩერდებოდა ყველა; შეჰყურებდნენ მოსეს, ვიდრე კარავში არ შევიდოდა იგი. როგორც კი კარავში შევიდოდა მოსე, ჩამოეშვებოდა ღრუბლის სვეტი და დადგებოდა კარვის კართან. მაშინ დაელაპარაკებოდა უფალი მოსეს“ (გამ. 33:7-8). ხედავდა მთელი ხალხი კარვის შესასვლელთან აღმართულ ღრუბლის სვეტს, „პირისპირ ელაპარაკებოდა უფალი მოსეს, როგორც კაცი ელაპარაკება კაცს. მერე ბრუნდებოდა ბანაკში. მისი მსახური, იესო ნავეს ძე, ყმაწვილი კაცი, არ შორდებოდა კარავს“ (გამ. 33:11). ყოფით ცხოვრებაში პირისპირ დგომა ორი თანასწორი ადამიანის უშუალო კონტაქტის, საუბრისა და ურთიერთობის აღმნიშვნელია. ხოლო უფალთან პირისპირ ყოფნა მყოფობას ნიშნავს, ცხადია, ეს არ იყო უფლის წინაშე პირისპირ დგომა.

ასეთი შეხვედრებისთვის დამახასიათებელია უფალთან მოსაუბრის გასხივოსნება: „დაინახეს აარონმა და ისრაელიანებმა მოსე და, აჰა, ბრწყინავდა მისი პირისკანი და ვერ გაბედეს მიახლოება“ (გამ. 34:30. ნახე, 34:29-35) – ვკითხულობთ წმინდა წერილში.

„უთხრა უფალმა მოსეს: გამოთალე იმ პირველთა მსგავსი ორი ფიქალი, და მე დავწერ ფიქალებზე სიტყვებს, რომლებიც ეწერა იმ პირველ ფიქალებზე, შენ რომ დაამსხვრიე“ (გამ. 34:1). ეს სიტყვები აღთქმის განახლებას ნიშნავდა.

უფლის ნებით, მოსე დილით სინაის მთაზე უნდა ასულიყო. მაგრამ არავინ, არც ძე კაცისა და არც ძროხა ან სხვა საქონელი, არ უნდა გაჰკარებოდა მთას მანამ, სანამ მოსე უფლის გვერდით, მთის წვერზე იქნებოდა.

გამოთალა მოსემ ორი ფიქალი, იმ პირველთა მსგავსი, ადგა დილაადრიანად და ავიდა სინაის მთაზე. ჩამოვიდა უფალი ღრუბელში. დადგა მოსე იქ, მის ახლოს, და ახსენა უფლის სახელი. „ჩაიარა უფალმა მის წინ და შეჰღაღადა მოსემ: უფალო, უფალო! ღმერთო მწყალობელო და შემბრალებელო, სულგრძელო, დიდმადლიანო და ჭეშმარიტო“ (გამ. 34:6). მაშინვე პატივი მიაგო მოსემ უფალს და კვლავ შესთხოვა ცოდვების პატიება – „...შეგვინდე დანაშაული და შეცოდება და შენს სამკვიდროდ გაგვხადე“ (გამ. 34:9).

და კვლავ აძლევს უფალი კანონებს მოსეს. ღვთიური წარმოშობის ათი მცნება, ღვთიური სიბრძნის გამოხატულებას და, ფაქტობრივად, ადამიანსა და ღმერთს, ადამიანსა და ადამიანს შორის ურთიერთობის საფუძველს.



„დარჩა იქ, უფალთან ორმოც დღეს და ორმოც ღამეს; პური არ უჭამია და წყალი არ შეუსვამს. დაწერა ფიქალებზე აღთქმის სიტყვები, ათი სიტყვა“ (გამ. 34:28). ამ ხანგრძლივი მარხვის შემდეგ ჩამოვიდა მოსე სინაის მთიდან, აღთქმის ორი ფიქალი ეჭირა ხელში და არ იცოდა, რომ უბრწყინავდა პირისახე. შეეგებნენ მას აარონი და სხვა ისრაელიანები, მაგრამ მოსეს სახის ელვარებამ თვალი მოსჭრა და ვერ გაბედეს მასთან მიახლოება. ბოლოს, „...მოუთხრო მათ ყველაფერი, რაც უფალმა უთხრა სინაის მთაზე. შეწყვიტა მოსემ მათთან ლაპარაკი და რიდე ჩამოიფარა სახეზე“ (გამ. 34:33-34).

მოსემ ხალხს უფლისგან მიღებული განმარტებები გადასცა იმის შესახებ, როგორ დაეცვათ დაწესებული კანონები, როგორ მოეწყოთ თავიანთი ყოფა და როგორ მოეწყოთ საუფლო, ანუ სადღესასწაულო კარავი, რომელიც, ფაქტობრივად, ტაძრის დანიშნულებისა იყო. უფლისავე ნებით აარონი და მისი შვილები ტაძრის მსახურთა შესამოსელში უნდა შემოსილიყვნენ – „შესამოსელი საწმიდარში სამსახურისთვის, წმიდა შესამოსელი აარონ მღვდლისათვის და შესამოსელი მისი შვილებისთვის მღვდლობის გასაწევად“ (გამ. 35:19) – ბრძანა უფალმა.

ისრაელიანებმა აღარ დააყოვნეს და მაშინათვე, „...სათითაოდ, ვისაც კი გულმა გაუწია და ვინც კი სულით აღიძრა, და მიიტანეს საუფლო ძღვენი სადღესასწაულო კარვის მოსაწყობად, მისი ყოველი საჭიროებისათვის და წმიდა შესამოსელისთვის“ (გამ. 35:21). მიდიოდნენ მამაკაცები და დედაკაცები, გულუხვობით მიჰქონდათ ტაძრის რიტუალის დასამშვენებელი რგოლები, საყურეები, ბეჭდები, ყელსაბამები, ყოველგვარი ოქროს ნივთი; თითოეულს თავისი წილი შესაწირავი ოქრო მიჰქონდა უფლისათვის. კაცსა თუ ქალს, ვისაც კი თავისი გულუხვობით სურდა მოეტანა ძღვენი, უხვად მიჰქონდათ უფლისთვის.

„შეუდგნენ საქმეს ბეცალიელი, ოჰოლიაბი და ყველა გულბრძენი კაცი, რომელთაც მიანიჭა უფალმა სიბრძნე და გონიერება საწმიდარისთვის საჭირო საგნების გასაკეთებლად უფლის ბრძანებისამებრ“ (გამ. 36:1). და გაჩაღდა მუშაობა. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ საქმის მცოდნენი, ვინ უკეთ განამზადებდა თავის სამუშაოს: „მოვიდა ყველა ბრძენკაცი, საწმიდარის ყოველგვარი საქმის მკეთებელი, თავ-თავისი საქმის მცოდნენი, ვის რისი გაკეთებაც შეეძლო“ (გამ. 36:4). როგორც ნაბრძანები ჰქონდა უფალს მოსესთვის, ყველაფერი ისე გააკეთეს ისრაელიანებმა. ნახა მოსემ მთელი ნამუშევარი და დარწმუნდა, რომ გაუკეთებიათ ყველაფერი ისრაელიანებს ისე, როგორც უფლისგან მოსეს პირით გაიგეს. და დალოცა ისინი მოსემ.

იმის ნიშნად, რომ დასრულდა საკრებულო კარავი, უფლის სახელის დასავანებელი, ხოლო, „დაფარა ღრუბელმა სადღესასწაულო კარავი და უფლის დიდებამ აავსო სავანე“ (გამ.40:34), ერთგვარ დასტურად იმისა, რომ უფალი კვლავ თავის ხალხთან იყო, ის თავად უწინამძღვრებდა მას აღთქმული ქვეყნისაკენ სავალ გზაზე, დღისით კვლავ ღრუბლის სვეტი იქნება მათი წინამძღოლი და ღამით კი ცეცხლის სვეტი (გამ. 40 :36-40).

ხოლო რაც შეეხება თავად მოსეს, ებრაული გადმოცემის მიხედვით, მოსეს შობასაც და აღსასრულსაც ნათელი ახლავს. შობისას სახლი, სადაც ის იშვა, ნათლით ავსებული. ასევე სიკვდილის შემდეგ მოსე უქმნელმა ნათელმა მოიცვა და ის სამარადისო ნათელში დაიმარხა.

ინფორმაცია

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2012 წლის საუკეთესო მოსწავლე, მასწავლებლები, დირექტორი, მანდატურები, კერძო და საჯარო სკოლები და ასევე, საუკეთესო რესურსცენტრის ხელმძღვანელი გამოავლინა:

♦ **საუკეთესო მოსწავლე** – გურჯაანის რაიონის სოფელ მახარაძის სოსო ღვინიაშვილის სახელობის საჯარო სკოლის მეთერთმეტეკლასელი **თამაზ ბაღდავაძე**;

♦ **საუკეთესო მასწავლებელი** – თბილისის №76 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი **ლია კობესაშვილი**;

♦ **საუკეთესო მასწავლებელი** – პროგრამის „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ მონაწილე, ნინოწმინდის რაიონის სოფელ ფოკას საჯარო სკოლის ქართული ენის მოხალისე მასწავლებელი **თეონა ჯუღელი**;

♦ **საუკეთესო ინგლისურენოვანი მასწავლებელი** – პროექტის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ ფარგლებში ჩამოსული, მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანის ნიკო ბაგრატიონის (ბური) სახელობის №1 საჯარო სკოლის ამერიკელი მოხალისე პედაგოგი **ჯეისონ დეივიდ ბრენდონი**;

♦ **საუკეთესო სკოლის დირექტორი** – თბილისის 51-ე საჯარო სკოლის დირექტორი **დავით ლაგვილავა**;

♦ **საუკეთესო მანდატურები** – თბილისის №76 საჯარო სკოლა – **გელა ბეგდარაშვილი**, ზუგდიდის №8 საჯარო სკოლა – **ბაბილინა ბარქაია**, ქუთაისის №23 საჯარო სკოლა – **პაატა ნანავა**;

♦ **საუკეთესო საჯარო სკოლა** – რუსთავის №4 საჯარო სკოლა;

♦ **საუკეთესო კერძო სკოლა** – საერო სკოლა „ალბიონი“;

♦ **საუკეთესო რესურსცენტრის ხელმძღვანელი** – სამტრედიის რესურსცენტრის უფროსი **ნინო შენგელია**.

დიმიტრი შაშკინმა ზემოთ ჩამოთვლილ ნომინაციებში გამარჯვებულებს სპეციალურად დაწესებული ჯილდოები გადასცა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მომავალშიც წაახალისებს წარმატებულ მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და დირექტორებს, ასევე კერძო და საჯარო სკოლებსაც, რადგან მათ ჰქონდეთ მოტივაცია კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწიონ.

მეთოდიკა

ფიზიკა პედაგოგთა დასახმარებლად

ელექტროსტატიკა

ამოცანა 69

$R_1=10$ სმ რადიუსის გამტარი სფერო დამუხტეს $\varphi=2700$ ვ პოტენციალამდე, გამორთეს ძაბვის წყაროდან და წვრილი მავთულით შეაერთეს $R_2=5$ სმ რადიუსის დაუმუხტავ სფეროსთან. განვსაზღვროთ: დიდი სფეროს საწყისი მუხტი, სფეროების მუხტები, პოტენციალები და ენერგიები მათი შეერთების შემდეგ, შეერთებისას გამოყოფილი ენერგია. სფეროები ჰაერშია მოთავსებული.

ამოხსნა:

დიდი სფეროს საწყისი მუხტი $q=\frac{\varphi R_1}{\kappa}=3\cdot10^{-8}$ კ. შეერთების შემდეგ ეს მუხტი ისე განაწილდება, რომ სფეროების პოტენციალები ტოლი იყოს: $\varphi_1=\kappa\frac{q_1}{R_1}=\kappa\frac{q_2}{R_2}$. მუხტის მუდმივობის კანონის თანახმად: $q_1+q_2=q$ საიდანაც $q_2=q-q_1$. ჩავსვათ ეს გამოსახულება პოტენციალების ტოლობის ფორმულაში, მივიღებთ: $\frac{q_1}{R_1}=\frac{q-q_1}{R_2}$. ამ ფორმულიდან გამოვსახოთ: q_1: $q_1R_2=qR_1-q_1R_1$ და $q_1=q\frac{R_1}{R_1+R_2}=3\cdot10^{-8}\cdot\frac{10}{15}=2\cdot10^{-8}$ კ. შესაბამისად, $q_2=3\cdot10^{-8}-2\cdot10^{-8}=10^{-8}$ კ. მიღებული მუხტების სიდიდეების პოტენციალის ფორმულაში ჩასმით მივიღებთ სფეროების პოტენციალის მნიშვნელობას მათი შეერთების შემდეგ: $\varphi_1=k\frac{q_1}{R_1}=9\cdot10^9\frac{2\cdot10^{-8}}{0,1}=1800$ვ. დიდი სფეროს საწყისი ენერგია (შეერთებამდე) შეიძლება გამოვთვალოთ ფორმულით: $W_0=\frac{q\varphi}{2}=\frac{3\cdot10^{-8}\cdot2700}{2}=4,05\cdot10^{-5}$ ჯ. სფეროების ენერგია შეერთების შემდეგ ტოლი იქნება: $W=\frac{q\varphi_1}{2}=2,7\cdot10^{-5}$ ჯ. ამის გათვალისწინებით, შეერთებისას გამოყოფილი ენერგია ტოლი იქნება საწყისი და საბოლოო ენერგიების სხვაობისა: $W_1=W_0-W=4,05\cdot10^{-5}-2,7\cdot10^{-5}=1,35\cdot10^{-5}$ ჯ.

ამოცანა 70

ვიპოვოთ მუხტის სიდიდეები C_1, C_2, C_3 ტევადობის კონდენსატორებზე, რომლებიც შეერთებულია ისე, როგორც სურათზე გამოსახულ სქემაზეა ნაჩვენები. დენის წყაროს ემძ E-ის ტოლია.



ამოხსნა:

ჯერ ვიპოვოთ C_2 და C_3 კონდენსატორების პარალელური შეერთებით მიღებული სისტემის ტევადობა: $C'=C_2+C_3$, შემდეგ კი მთელი წრედის საერთო ტევადობა: $C=\frac{C_1(C_2+C_3)}{C_1+C_2+C_3}$, რადგან C_1 და C' მიმდევრობითაა შეერთებული. ცნობილია, რომ მიმდევრობითი შეერთებისას კონდენსატორების ბატარეის საერთო მუხტი ტოლია თითოეული კონდენსატორის მუხტისა: $q=q_1=q'$, სადაც q არის კონდენსატორების ბატარეის მუხტის სიდიდე, q_1-C_1 კონდენსატორის, q' კი, C' სისტემის ჯამური მუხტი, რომელიც ტოლი უნდა იყოს C_2 და C_3 კონდენსატორებზე არსებული მუხტების ჯამისა: $q'=q_2+q_3$. ამის გათვალისწინებით მივიღებთ, რომ $q=q_1=q'=\frac{C_1(C_2+C_3)}{C_1+C_2+C_3}E$. C_2 და C_3 კონდენსატორების პარალელური შეერთების გამო მათ ბოლოებზე (U) ერთი და იგივეა და ასე შეიძლება გამოვსახოთ: $U=\frac{q'}{C'}=\frac{C_1E}{C_1+C_2+C_3}$, ამიტომ $q_2=C_2U=\frac{C_1C_2E}{C_1+C_2+C_3}$ და $q_3=C_3U=\frac{C_1C_3E}{C_1+C_2+C_3}$. მართლაც, შეგვიძლია შევამოწმოთ, რომ

$$\frac{C_1C_2E}{C_1+C_2+C_3}+\frac{C_1C_3E}{C_1+C_2+C_3}=\frac{C_1(C_2+C_3)}{C_1+C_2+C_3}E.$$

ამოცანა 71

ბრტყელი კონდენსატორის შემონაფენებს შორის სივრცე შევსებულის E შეღწევადობის დიელექტრიკით, ისე როგორც სურათებზეა გამოსახული (იხ. სურ. 1 და 2). კონდენსატორის ფირფიტების ფართობია S, დანარჩენი ზომები სურათებზეა ნაჩვენები. განვსაზღვროთ კონდენსატორის ტევადობა ორივე შემთხვევაში.



სურ. 1

სურ. 2

ამოხსნა:

პირველ შემთხვევაში (სურ. 1) კონდენსატორის ტევადობა იქნება პარალელურად შეერთებული ორი შემადგენელი კონდენსატორის ტევადობების ჯამი, რომელთაგან ერთ-ერთი შევსებულია l სიგრძის და d სისქის დიელექტრიკით, მეორეში კი ჰაერია: $C=C_1+C_2$ სადაც, $C_1=\frac{\varepsilon\varepsilon_0S_1}{d}$, $C_2=\frac{\varepsilon_0S_2}{d}$. აქ S_1 კონდენსატორის ფირფიტების დიელექტრიკიანი ნაწილის ფართობია, S_2 - ჰაერიანი ნაწილის. ამ ფართობების შეფარდება ფირფიტების შესაბამისი სიგრძეების ნაწილების შეფარდების ტოლია, ამავე ფართობების ჯამი კი - კონდენსატორის ფირფიტის S ფართობის: $\frac{S_1}{S_2}=\frac{l}{L-l}$ და $S_1+S_2=S$ ამ თანაფარდობებიდან მივიღებთ, რომ $S_1=\frac{l}{L}S$ და $S_2=\frac{L-l}{L}S$. ფართობების ამ მნიშვნელობების ტევადობების ფორმულებში ჩასმის შემდეგ გვექნება: $C_1=\frac{\varepsilon\varepsilon_0lS}{dL}$ და $C_2=\frac{\varepsilon_0(L-l)S}{dL}$. ამ სიდიდეების ჩასმის შემდეგ მივიღებთ:

$$C=\frac{\varepsilon_0S}{dL}\left((\varepsilon-1)l+L\right).$$

მეორე შემთხვევაში (სურ. 2), შემონაფენებს შორის ელექტრული ველი და მასთან ერთად კონდენსატორის ელექტროტევადობა არ შეიცვლება, თუ დიელექტრიკის ზედა ზედაპირს უსასრულოდ თხელი გამტარი ფენით დავფარავთ. ამიტომ ასეთი კონდენსატორი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ორი, მიმდევრობით შეერთებული შემადგენელი კონდენსატორი, რომელთაგან ერთ-ერთი შევსებულია L სიგრძის და d_1 სისქის დიელექტრიკით, მეორეში კი ჰაერია და მის ფირფიტებს შორის მანძილი $d-d_1$-ია. თუ ასეთი კონდენსატორის ტევადობას აღვნიშნავთ C'-ით, მაშინ შეგვიძლია დავწეროთ: $C=\frac{C_1'C_2'}{C_1'+C_2'}$ სადაც C_1' დიელექტრიკიანი კონდენსატორის ტევადობაა, C_2' კი - ჰაერიანის და $C_1'=\frac{\varepsilon\varepsilon_0S}{d_1}$, $C_2'=\frac{\varepsilon_0S}{d-d_1}$ ჩავსვათ ეს მნიშვნელობები C'-ის ფორმულაში და საბოლოოდ მივიღებთ: $C'=\frac{\varepsilon\varepsilon_0S}{(d-d_1)\varepsilon+d_1}$.

ამოცანა 72

ბრტყელი, ჰაერიანი კონდენსატორის ერთი ფირფიტა უძრავადაა დამაგრებული, მეორე - ჩამოკიდებულია k სიხისტის, ვერტიკალურ ზამბარაზე. ფირფიტების ფართობია S. რა სიდიდის იქნება ზამბარის წაგრძელება, თუ კონდენსატორს q მუხტს გადავცემთ?

ამოხსნა:

გამოვთვალოთ კონდენსატორის ფირფიტების ურთიერთქმედების ძალა F. ბრტყელ კონდენსატორში ერთ-ერთი ფირფიტა მოთავსებულია მეორე ფირფიტის მიერ შექმნილ ერთგვაროვან ელექტრულ ველში, რომლის დაძაბულობა ტოლია კონდენსატორის ველის დაძაბულობის ნახევრის: $E_1=2\pi k\sigma=\frac{2\pi kq}{S}$, ამიტომ ფირფიტებს შორის ურთიერთქმედების ძალა $F=qE_1=\frac{2\pi kq^2}{S}$. ეს ძალა იმოქმედებს ზამბარაზე და წააგრძელებს მას Δl სიდიდით. ჰუკის კანონის თანახმად, წაგრძელება $\Delta l=\frac{F}{k}=\frac{2\pi kq^2}{kS}$.

ამოცანა 73

დაუმუხტავი, ჰორიზონტალურად მოთავსებული ბრტყელი კონდენსატორის ფირფიტებს შორის მოთავსებულია მტვრის ნაწილაკი. ჰაერის წინააღმდეგობის გამო ნაწილაკი თანაბრად ვარდება ვერტიკალურად ქვევით და ფირფიტებს შორის $d=1$ სმ მანძილს $t_0=10$ წმ-ში გადის. როდესაც მტვრის ნაწილაკი ქვედა ფირფიტასთან აღმოჩნდა, კონდენსატორზე მოსდეს $U=1000$ ვ ძაბვა. ამ მომენტიდან $t=5$ წმ-ში ნაწილაკმა ასევე თანაბარი, მაგრამ განსხვავებული სიჩქარით მიაღწია ზედა ფირფიტას. განვსაზღვროთ მტვრის ნაწილაკის მუხტის შეფარდება მისსავე მასასთან. მცირე სიჩქარეების გამო ჰაერის წინააღმდეგობის ძალა სიჩქარის პროპორციულია.

ამოხსნა:

ძაბვის ჩართვამდე მტვრის ნაწილაკი მოძრაობს თანაბრად $v_0=\frac{d}{t_0}$ სიჩქარით და ამ დროს ნაწილაკზე მოქმედი სიმძიმის და ჰაერის წინააღმდეგობის ძალები ერთმანეთს აწონასწორებს: $mg=\alpha v_0$, სადაც m ნაწილაკის მასაა, α - პროპორციულობის კოეფიციენტი. ამ ფორმულიდან $\alpha=\frac{mg}{v_0}=\frac{mgt_0}{d}$.

ძაბვის ჩართვის შემდეგ მტვრის ნაწილაკზე დამატებით იმოქმედა ვერტიკალურად ზევით მიმართულმა ელექტრული ველის მხრიდან q მუხტის მქონე ნაწილაკზე მოქმედმა ძალამ (F). ამ შემთხვევაში გვექნება ძალების შემდეგი თანაფარდობა: $F=mg+\alpha v$ (1), სადაც ზევით მოძრაობის სიჩქარე $v=\frac{d}{t}$ და $F=qE=q\frac{U}{d}$. ამ სიდიდეებისა და α-ს მნიშვნელობის (1) ფორმულაში ჩასმით მივიღებთ: $q\frac{U}{d}=mg+\frac{mgt_0}{d}\cdot\frac{d}{t}=mg\left(1+\frac{t_0}{t}\right)$, საიდანაც $\frac{q}{m}=\frac{g\left(1+\frac{t_0}{t}\right)d}{U}$. ამ ფორმულაში რიცხვითი მნიშვნელობების ჩასმის შემდეგ მივიღებთ: $\frac{q}{m}=\frac{10\cdot(1+2)10^{-2}}{10^3}=3\cdot10^{-4}$ კ/კგ.

თეიმურაზ გაჩეჩილაძე
აკად. ი. ვეკუას სახ. ფიზიკა-მათემატიკის №42 საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი, დირექტორის მოადგილე

არქივი

მაკა ყიფიანი

ქუჩა, სადაც ისევ ისმის

„მამა, ტყუილად დამიწყეს ძებნას შიო მღვიმელზე, მე ეხლა კოსტავას ქუჩა №60-ში დაქირავებულ ერთოთახიან ბინაში ვცხოვრობ. ჩემ წინ ხესავით მაღალი ბოწეულია. ზემო სართულზე ვაზი აუყვანიათ, მიწამდე ჩამოკონწიალებული ტოტი ფანჯარას ეხეთქება და ასე მგონია, ვილაცაა. ხოლო საღამოთი, როცა ბინდი ჩამოწვება ხოლმე, გრძელი ლერწი აქეთ-იქით ხელისგულივით გაშლილი ფოთლებით, ადამიანის სხეულსა ჰგავს და მეშინია. ცოტა მოშორებით, ეზოში, დაბალ, ბებერ ვაშლის ხესთან შენ დგახარ დაფიქრებული და ვერ გადაგიწყვეტია, შემოხვიდე ჩემთან თუ არ შემოხვიდე.

მე ვიყურები იქითკენ, სადაც შენ მეგულები. ხომ ვიცი, ხის ჩრდილი მატყუებს, მაგრამ ეს ტყუილი ისეთი ტკბილია და ისე მჭირდება, სულმოუთქმელად ვებღაუჭები. როგორ მინდა, ერთი დღე მაინც, დილიდან საღამომდე დარჩე ჩემთან, მე ყველაფერს გიამბობ, რაც შენთვის ახალი და მოულოდნელი იქნება. შენ ხელს გამოსწევ და ჩემს დაბერებულ გამხდარ ხელს დაადებ. მე ჩაგახედებ ჩემს ცხოვრებაში, რომელიც ცხოვრებას აღარ ჰგავს. შენ მირჩევ, როგორ გავატარო დარჩენილი დრო, როგორ დავიჭირო თავი ხალხთან. შენა გგონია, ყურადღებას ვთხოულობ, ამის არც უფლება მაქვს და არც სურვილი, მე გაჩუმებული, უსიტყვოდ მივდევ დღეებს.

შენს წერილებს ვკითხულობ, შეიძლება ითქვას, სულ შენს გვერდით ვარ. ამ წერილებს სიამოვნებაც მოაქვს და უსიამოვნებაც. ნეტავი სულაც ხელი არ მეხლო! წინათაც წამიკითხავს, მაგრამ მაშინ ჩვეულებრივ წერილებად მომეჩვენა, ახლა კი ყოველი სიტყვა და ყოველი სტრიქონი ისეთი ახლობელია ჩემთვის, თითქოს შენ კი არა, მე ვწერ ამ წერილებს. აქედან ვიგებ ცოტაოდენს შენი ცხოვრებიდან. დაწერილი არაფერი დაგრჩა და არც ლაპარაკი გიყვარდა შენს თავზე. ამიტომ ცარიელი ადგილები ბევრია შენს ბიოგრაფიაში“ (ნაწყვეტი წიგნიდან „მამა მოდის ჩემთან კოსტავას №60-ში“).

ეს სიტყვები ცნობილი ქართველი პოეტის – შიო მღვიმელის ქალიშვილს, ქალბატონ **ქეთევან ქუჩუკაშვილს** ეკუთვნის. უნუგეშოდ დარჩენილი, უკვე 12 წელია, დაქირავებულ ბინაში გაჭირვებით, მარტოსული ცხოვრობს. 90 წლის მოხუცი თავს მამაზე მოგონებებით ინუგეშებს.

ქალბატონ ქეთევანთან სტუმრად მე-60 სკოლის IV კლასის მოსწავლეებთან ერთად მივედით. პატარებმა ქეთო ბებოს დიდი სიხარული და მცირედი საჩუქრები მიუტანეს. მოხუცმა გულთბილად გვიმასპინძლა, მოკრძალებით საუბრობდა თავის თავზე და სიამაყით იგონებდა სევდიან, თუმცა, მისთვის უძვირფასეს წარსულს.

ქალბატონმა ქეთევანმა გვითხრა, რომ მასთან, როგორც შიო მღვიმელის ქალიშვილთან, სანახავად ხშირად მიდიან სხვადასხვა ადამიანები, თუმცა, კარის გახურვის შემდეგ აღარავის ახსოვს უნუგეშოდ დარჩენილი მოხუცი.

– ქალბატონო ქეთევან, თქვენ მამის კვალს გაჰყევით, ხართ ავტორი პიესებისა – „ზამთრის ზღაპარი“, „კონკია“, მოთხრობისა „თბილი პური“, ასევე, ლექსების კრებულისა „ჩვენი ეზოს ბავშვები“ და მრავალი სხვ. გვიამბეთ თქვენი ცხოვრების შესახებ.

– დავიბადე თბილისში, ბავშვობა და ცხოვრების გარკვეული პერიოდი შიო მღვიმელის ქუჩის 7 ნომერში გავატარე. ვსწავლობდი თბილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიაში. ბავშვობიდან ვწერ ლექსებს, პიესებს. ოჯახში ჩემი ლექსები დიდად არავის მოსწონდა, არც მამას, თუმცა არასოდეს მისწორებდა. მე, როგორც ყველა ბავშვს, ჩემი ლექსები ძალიან მომწონდა. სოფელ კავთისხევში, მეგობრებთან ერთად, პიესებს ვდგამდი. მოგვიანებით კი, ჩემი პიესები დიდი თეატრის სცენებზეც დაიდგა.

ბავშვობა არც ისე გალაღებული მქონდა. იმ დროს ყველას ერთნაირად უჭირდა. თუმცა, ბედნიერები ვიყავით. არასოდეს მიმაჩნდა თავი ღარიბად, ყოველთვის მეგონა, რომ მდიდარი ვიყავი. ბავშვები გაჭირვებაზე არასოდეს ვსაუბრობდით. ყველანი ერთნაირად ვცხოვრობდით. ძალიან ცელქი გოგო ვიყავი, მაგრამ მამა არასოდეს მიჯავრდებოდა. ყოველთვის ცდილობდა გავეხარებინე. მახსოვს, ცამეტი წლის რომ გავხდი, მამამ, უკვე პატარა პარკით კი არა, მოზრდილი პარკით მომიტანა ნუშის ნამცხვარი. იმ დღეს ჩაი ნუშის ნამცხვრით დავლიეთ.

სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გეოლოგიის ფაკულტეტზე ჩავაბარე. ჩემი პროფესიით არასოდეს მიმუშავია. ვმუშაობდი გამომცემლობა „ნაკადულში“, უფროს რედაქტორად. ტკბილად მაგონდება იქ გატარებული წლები, კოლეგები. მქონდა ბედნიერება, გავცნობოდი არაჩვეულებრივ, საინტერესო ადამიანებს.

– როგორ აფასებთ დღევანდელ ცხოვრებას?

– თანამედროვეობას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ქვეყანაში შექმნილ ვითარებას რადიოთი ვეცნობი. ძალიან მაწუხებს პედაგოგების მდგომარეობა. მათ მიმართ დიდი პატივისცემა მაქვს. მამა მასწავლებლებს დიდ პატივს სცემდა. სამწუხაროდ, დღეს პედაგოგს არ აქვს სათანადო ანაზღაურება. მშობელი და მასწავლებელი ერთსულოვანი უნდა იყოს ბავშვის აღზრდის საქმეში. მოზარდი სამშობლოს სიყვარულით უნდა აღვზარდოთ. საქართველო მათთვის უპირველესი უნდა იყოს.

ახალგაზრდობა ძალიან მომწონს. ნიჭიერი თაობა მოდის, შეიძლება ისინი საუკეთესოს ვერ ქმნიან, მაგრამ მთავარი ის არის, რომ მუშაობენ. განსაკუთრებულად რაიონებში მცხოვრები ბავშვების წარმატება მახარებს.

სამწუხაროდ, ახალგაზრდობის სულიერ სიმახინჯეს სახელმწიფოში არსებული რთული მდგომარეობა განაპირობებს. უწინ ბიჭები პურის ფულისთვის ქურდობდნენ. დღეს, ბევრ მათგანს ფული აქვს, თუმცა მაინც იპარავენ, სასახლეებს იშენებენ. მათ არ იციან, არ ესმით, რა უფრო მნიშვნელოვანია – ბევრი ფული თუ ღირსება. მიკვირს, ერთ ადამიანს რისთვის უნდა ამდენი სასახლე, განა რამდენ ხანს უნდა ვიცოცხლოთ. სამწუხაროდ, მდიდრები ხშირად ვერ ხვდებიან ღარიბი ადამიანის გაჭირვებას.

– თქვენი დიდი სურვილია შიო მღვიმელის მუზეუმის გახსნა, რათა შთამომავლობას მცირე, მაგრამ უნიკალური არქივი დაუტოვოთ.

– ამაზე ფიქრი მკლავს, თან მაცოცხლებს კიდეც. მე რომ ხვალ ბინა ვიყიდო და შიო მღვიმელის მუზეუმზე ზრუნვას შევუდგე, პირველ რიგში, იმ ორ ოთახს აღვადგენ, რომელშიც ვცხოვრობდით. ჩრჩილისგან შეჭმულ ფარდაგს კედელზე გავაკრავ და ზედ იისფერ, შინდისფერ და მწვანე ხავერდის ჩარჩოში ჩასმულ ილიას, რაფიელის და რუსთაველის სურათებს დავკიდებ. კედელთან მიდგმულ ტახტს ხალიჩას გადავაფარებ, იმასაც დაბერებულს, დროისგან გაცვეთილს, მაგრამ ჩემთვის ყველაზე ახლობელს. ტახტს გვერდით სანერ მაგიდას დავუდგამ, რომლის უჯრები დაცლილია, რაც უჯრებში ეწყო, ცელოფნის პარკში უწესრიგოდ არის ჩაყრილი. უჯრები ელოდებიან, როდის ჩავაწყობ ამ საბუთებს. ეს საბუთები ხომ მათი საკუთრებაა! უჯრებში ჩავდებ თედო სახოკიას პარიზიდან გამოგზავნილ შვიდ წერილს, მიხეილ თამარაშვილის წერილს რომიდან. აქვეა მოგონებები ვაჟაზე, გოგებაშვილზე, მცირე რამ ხალხოსნებზე, ალექსანდრე ყაზბეგზე. მოგონებები უკვე დაღლილი, ალაგ-ალაგ გაუგებარი, აქეთ-იქით წაწვენილი ასოებითაა დაწერილი. *„დილიდან შუადღემდე წ.კ. გამავრცელებელ საზოგადოებასთან არსებულ წიგნის მაღაზიაში ზის და უაზროდ ფურცლავს წიგნებს, ერთ ჭიქა წყალს თუ მომთხოვს, ან მკითხავს შენ რას აკეთებო“*; *„საავადმყოფოში პიროჟნი მივუტანე, მთლად გამოთაყვანებულიყო, მაგრამ კეთილშობილება მაინც არ დაეკარგა და პიროჟნი მიაწოდა ავადმყოფებს“* – ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრების ბოლო წლების მძიმე სურათებია შიო მღვიმელის მოგონებაში მოტანილი.

აქვეა ქუჩის მაწანწალა, გამურულ ბავშვებთან გადაღებული გალაკტიონის ფოტო.

დედისადმი მიწერილი წერილი, სოფელ კავთისხევში: *„მე და ვაჟამ გროშები ავიღეთ და ვაჟამ ქვაბი გიყიდა, ძალოსთვის პირისანახავი არ მიმირთმევიაო“*.

ია ეკალაძისა და კორნელი კეკელიძის წარწერიანი, მამისადმი მიძღვნილი წიგნები. გიორგი ქუჩიშვილისა და შიო მღვიმელის ერთად გადაღებული და სხვა ჯგუფური ფოტოები.

შიო მღვიმელის მუზეუმის მეორე ოთახში კამოდს დავდგამ. მამას კამოდი დაბალია, ოთხუჯრიანი. ორ უჯრას თვითონ ხმარობდა, ორს ქალაქში ჩამოსული მისი მეგობრები იყენებდნენ ნაწერებისა და ტანისამოსის შესანახად (განსაკუთრებით მახსოვს ვაჟა-ფშაველა). მამა მოგონებებში წერს: *„ვაჟა მხოლოდ ორი კვირით რჩებოდა ჩვენთან, მერე ფშავში მიდიოდა. იმ ორ კვირას ხან მე გადავიწევდი საბანს, ხან ის გადაიწევდაო“*.

კამოდის გვერდით თბილისურ სარკეს დავკიდებ. უჰ, უცებ სარკემ რომ გვიჩვენოს ისინი, ვინც, რედაქციაში წასვლის წინ, კიდევ ერთხელ ჩაიხედეს სარკეში, იქნებ ნიკო მაჩხანელი ან ევდოშვილი დაგვენახა.

აქვე დავდგამ ძალიან ლამაზ, თუმცა ახლა ნესტისგან გამწვანებულ, ჭურჭლის კარადას. დედა ყოველთვის დიდი მადლით იგონებდა დურგალ კავთიშვილს, სამი ნაჭერი – წიგნების კარადა, სანერი მაგიდა და ჭურჭლის კარადა – ხუთ თუმნად გაგვიკეთა და ის ხუთი თუმანიც წვრილ-წვრილად გადაგვახდევინაო.

აქ არის დავთარიც, რომელშიც მამას თავისუფალ ფურცელზე ყოველთვიური დანახარჯი უწერია: ნინის ფეხსაცმლის დაკერება – 1 მანეთი და 70 კაპიკი, პური – 32 კაპიკი, ქეთინოს – 20 კაპიკი. არ ვიცი, რაში მაძლევდა ამდენ ფულს, მე ხომ ფული არ მჭირდებოდა. დანახარჯის ბოლოს ტრამვაის 5 კაპიკია მიწერილი. ყველა დანახარჯის ბოლოში 5 კაპიკის მიწერა არ ავიწყდებოდა. ტრამვაის 5 კაპიკს შიო მღვიმელის გასავალში საყურადღებო ადგილი უჭირავს.

რა თქმა უნდა, ვისთვისაც 5 კაპიკს ასეთი მნიშვნელობა აქვს მისი ფულადი შემოსავლის ბრუნვაში, ასეთი ადამიანის მუზეუმი ვერაფრით გაგაკვირვებს. ვფიქრობ, ეს ცნობა უფრო საყურადღებო იქნება მუზეუმში მომსვლელთათვის, ვიდრე, ვთქვათ, ძვირფასი თეფში ან ძვირფასი ფინჯანი რომ დახვდეთ.

მოკრძალებული არქივია, მაგრამ, ეგებ, მაინც გავუფრთხილდეთ. არქივის შესახებ იმიტომ კი არ მოგიყევით, შიო მღვიმელს რაღაცა რომ შევმატო. მინდა, ერთხელ კიდევ გავიხსენოთ ის ხალხი, ამ არქივში მორიდებით რომ გამოიყურებიან, თუმცა მოსარიდებელი არაფერი აქვთ.

შიო მღვიმელის მუზეუმში მოსული საოცარ ამბებს ვერ მოისმენს. იგი ჩვეულებრივი ადამიანი იყო, როგორც ბევრი სხვა, მისი ცხოვრებაც ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრებას ჰგავს.

ნუთუ ასე ძნელია ბნელ, ნახევარ ოთახში მიბრუნება, სადაც მამას საწერ მაგიდას დავდგამ და მცირე, მაგრამ მაინც საგულისხმო არქივს შევიტან. როდესაც კედელს მისი მეგობრების: ივანე ბუქურაულის, თედო რაზიკაშვილის, თედო სახოკიას, ია ეკალაძის, ალექსანდრე ჯავახიშვილის, ვასო აბაშიძის, ვალერიან გუნიას, ნიკო გოცირი-

არქივი

შიო მღვიმელის ფეხის ხმა

ძის, პოლიო ირეთელის, ბაჩანას, ფერეიდნელი ონკაშვილისა და სხვების მიერ მიძღვნილი ფოტოებით შევავსებ, ხოლო მეორე კედელს შიო მღვიმელის ლექსებზე შექმნილ ბავშვების ნახატებს დავუთმობ. ნუთუ ამის განხორციელება ძნელია?

– ლიტერატურიდან ვიცი, რომ შიო მღვიმელი შუამთის მონასტერში ბერად უნდა აღზრდილიყო, თუმცა ეს ასე არ მოხდა და იგი საბავშვო პოეტი გახდა.

– მამა 1866 წლის თებერვალში, „შიობა“ დღეს, სოფელ ბრეთში დაიბადა, მღვდლის – ილარიონ ქუჩუკაშვილის ოჯახში. შიო მეათე შვილი იყო. მამის გარდაცვალების შემდეგ, უნუგეშოდ დარჩენილ შიოს, უსახსრობის გამო, სასწავლებელში შესვლა არ შეეძლო. შუათანა ძმამ, სანდრომ, განიზრახა, შიო კახეთში, შუამთის მონასტერში ბერებისათვის მიებარებინა აღსაზრდელად. მონასტერში მიმავალნი გზად გორში ცნობილი ხალხოსნის – შიო დავითაშვილის ოჯახში შეჩერებულან. მას არ მოსწონებია სანდროს განზრახვა, პატარა შიო სასულიერო პირად რომ აღზრდილიყო და უთქვამს: *„დატოვე ჩემთან, იმედია, იმაზე უარესი არ გამოვა, რასაც შენ უპირებო“*. ამ გარემოებამ სულ სხვა მხრივ წარმართა მამას გზა. შიო დავითაშვილმა, მისმა მეუღლემ და თედო გოლიევმა, ცნობილმა ოსმა ხალხოსანმა, მამას გულითადი ამაგი დასდეს. პატარა შიო ამეცადინეს და 1881 წლის შემოდგომაზე გორის საოსტატო სემინარიასთან არსებულ სანიმუშო სკოლაში მიაბარეს. სწორედ აქ გაიცნო და დაუმეგობრდა მამა ვაჟა-ფშაველასა და მის ძმებს – ბაჩანას და თედოს. ხანდახან ვფიქრობ, ნუთუ იმიტომ გავატარეთ ასე უსიხარულოდ წუთისოფელი, რომ მამა, ბერობის მაგივრად, საბავშვო პოეტი დადგა. თუმცა, იგი თავად არ წასულა წინააღმდეგი, თვითონ ბერებმა უთხრეს სანდროს, წელს ადგილი არ გვაქვსო. ალბათ, ღმერთს ასე სურდა, ბერის დიდი საქმე არ დაავალა მამას, არც დიდი პოეტის სახელი არგუნა, მაგრამ რაც მისცა, მშვენიერია.

– ყველასთვის საყვარელი საბავშვო პოეტი, თავის დროზე, წიგნის მაღაზიაში წიგნებს ყიდდა. შემდეგ იგი მაღაზიას ტოვებს, რა გახდა ამის მიზეზი?

– 1887 წლის შემოდგომაზე მამა თბილისში ჩადის. იმ დროს სამსახურის შოვნა არც ისე ადვილი საქმე იყო. მამას ნამდვილ პატრონად ნიკო აღნიაშვილი გამოუჩნდა. შიო მღვიმელი მან რუს ჩინოსანთან მიიყვანა, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა, თუ ვის დანიშნავდა წ.კ. გამავრცელებელ საზოგადოებასთან არსებულ წიგნის მაღაზიაში, წიგნის გამყიდველად. რუსმა ჩინოსანმა მამა ასე შეაფასა: *„У него неинтелигентное лицо“*. მამას სახეზე მუდამ სიყვარული, მონდომება, ერთგულება, პატიოსნება ეხატა, რუსმა ჩინოსანმა კი იგი ასე შეაფასა. მიუხედავად ამისა, მამა წიგნის მაღაზიაში მუშაობას იწყებს.

შიო მღვიმელი მარტო წიგნებს არ ჰყიდდა მაღაზიაში, საბუღალტრო საქმეებსაც უძღვებოდა, პროვინციაში დამკვეთთათვის წიგნებს გზავნიდა, ანგარიშის შედგენაც მის კისერზე იყო, შესყიდული ნივთების დაბინავებაც მას ევალებოდა.

მამა სოფელ კავთისხევში დედასთან გაგზავნილ წერილში წერს: *„მთელი დღე ფოსტის ცხენივით დავრბივარ და შინ რვისთვის ძლივს შევაღწევ ხოლმე“*. ერთი დღეც ვერ ახერხებდა სოფელში ასვლას ჩემი დების – პაწაწინა გოგონების სანახავად.

შიო მღვიმელმა წიგნის მაღაზიაში ოცდაორი წელი იმუშავა, იქიდან შეურაცხყოფილი წამოვიდა.

საწყობიდან და მაღაზიიდან წიგნები იკარგებოდა. მამას მეგობარმა, ანდრია ფორაქიშვილმა მიამბო: *„ჩვენს ნათესავს 70 წელი შეუსრულდა. გვინდოდა საჩუქრად „ვეფხისტყაოსანი“ მიგვერთმია და შიოსთან შევედით მაღაზიაში. შიო დაიხარა გამოსაღებად და სახტად დარჩა – ამ დილით შემოვიტანე და რა იქნაო?“*

მამა ხელფასიდან დებდა დანაკლისს. ბოლოს ისე გაიზარდა ეს თანხა, სამუშაოდან გაათავისუფლეს. ეს იყო 1909 წელი. ყველამ იცოდა, ამ ცუდ საქმეში მამა არ ერია, თუმცა მაინც მოაშორეს პატარა მაღაზიას, რომელიც მისთვის სამლოცველო იყო. იქიდან წამოვიდა და, ცოლ-შვილთან ერთად, ცარიელ სუფრასთან დარჩა.

დავით კარიჭაშვილმა ურჩია: *„შიო, შენ თავზე დაიბრალე ყველაფერი, შენ არაფერს გიზამენ, ამ ხალხს კი პასუხს აგებინებენო“*. ვფიქრობ, მამამ იმიტომ კი არ დაიბრალა ყველაფერი, რომ კარიჭაშვილმა ასე ურჩია, არ იკადრა, პირდაპირ ეთქვა, რაც სათქმელი იყო, იმ ხალხისთვის, ვისთან ერთადაც წლების მანძილზე მუშაობდა. იმ ხალხს მამა პირზე რომ დასდგომოდა, არც დედას მოეწონებოდა და არც მის შვილებს, როცა გავიგებდით, როგორ შეინარჩუნა ეს ადგილი.

„ვალების დასაფარავად ქვაბებიც კი გავყიდეთ, – წერს დედა თავის მომცრო მოგონებებში, – *ისე გავიდა ათი წელი, შიოს ფეხი არ დაუდგამს წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების კიბეზე“* (კიბეზე, სადაც ოცდაორი წელი ადიოდა და შეურაცხყოფილი ჩამოვიდა).

მეორე წელს მამა ისევ დაიბარეს წიგნის მაღაზიაში სამუშაოდ. ვალი იმდენი არ იყო, რომ საჭირო ყოფილიყო მისი განთავისუფლება და სთხოვეს, დაბრუნებულიყო, მაგრამ მამა არ დაბრუნდა, რადგან ისევ იქ იყვნენ ისინი, ვინც მას ჭუჭყი მოსცხო და ლუკმა გაუწყვიტა მის ცოლ-შვილს. ამ გაჭირვებას შეეწირა ჩემი შვიდი თვის ძმა გოგია. წიგნის მაღაზიიდან წამოსვლის შემდეგ მამა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში მუშაობდა კორექტორად. კითხვამ ძლიერ დაუზიანა მხედველობა, რის გამოც იგი ხშირად წუხდა.

შემდეგ იყო გაჭირვებული დღეები. უსიხარულო დღეებს ერთი კარგი დღეც გამოერია. გიორგი ლეონიძის ძმამ, ლევან ლეონიძემ მამას სამუშაო გამოუძებნა. ბატონ ლევანთან პლაკატებს ბეჭდავდნენ, რომლისთვისაც ლექსები იყო საჭირო. სწორედ ამ ლექსების დაწერა დაევალა მამას. იმ დღეს, როცა მამამ ეს ამბავი შინ მოიტანა, ჩვენს ოჯახში სიხარული დატრიალდა. იმ დღეებში თითქოს ათი წლით გაახალგაზრდავდა შიო მღვიმელი. არაპოეტურ თემებზე შექმნილ, შეკვეთილ ლექსებს მამა არაფერს აკლებდა. საერთოდ, ყოველგვარ დავალებას დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა და დროზე მიჰყავდა ბოლომდე. ამას იმიტომ კი არ აკეთებდა, რომ მალე მისულიყო სალაროს სარკმელთან, არ უნდა დაეგვიანებინა იმ საქმეზე, რომელიც მის ლექსს ელოდებოდა.

პლაკატები დაიბეჭდა. ეს იყო მცირე ზომის ყვითელი, ნახატებიანი ფურცლები. რადგან მამას ჟურნალებში აღარ უბეჭდავდნენ, ჩვენ ის პლაკატები ოთახში ერთ კედელზე გავაკარით. არ მახსოვს, რაში დავხარჯეთ აღებული ფული. შეიძლება, ორი კილო ალუბალი და შაქრის ფხვნილი ვიყიდეთ მურაბის მოსახარშად. შეიძლება ფეხსაცმელი დავაკერებინეთ, რომელიც, დიდი ხანია, სწორედ ამ ფულს ელოდებოდა. შეიძლება უფრო კარგი სადილი გავაკეთეთ. ერთი სიტყვით, ის, რაც მამამ ამ სამუშაოში მიიღო, წარმოუდგენლად დიდი თანხა იყო ჩვენთვის.

მე ხშირად ვამბობ, სიხარულს ზურგი ჰქონდა ჩვენსკენ მობრუნებული, მაგრამ ერთ ღრუბლიან დღეს ჩვენთან სიხარული შემოვიდა. 1916 წლის 14 თებერვალს, კვირას, დღის 12 საათზე, ახლანდელი ფალიაშვილის, მაშინდელ სახაზინო თეატრში, შიო მღვიმელის შემოქმედებისადმი მიძღვნილი დილა გაიმართა. დილა ბავშვების მონაწილეობით, მოსაწვევი ბარათებით ჩატარდა, მაგრამ რაღაც თანხა მაინც შეგროვდა. ეს თანხა ვინმე ზედგინიძეს გადასცეს, მას წიგნის მაღაზია უნდა გაეხსნა და შიო მღვიმელიც ესარგებლებინა. მამას დღესასწაულის მეორე დღეს ისე უჭირდა, პური ვერ იყიდა. ჩემი დები, თერთმეტ-თორმეტი წლის გოგონები, ზედგინიძესთან გაუგზავნია. ზედგინიძემ ჩემს დებს კარი ცხვირწინ მიუკეტა. მან არც წიგნის მაღაზია გახსნა და არც ფულის მოცემა უფიქრია შიო მღვიმელისათვის.

საიუბილეო დღეებში სანდრო ახმეტელის ორი საყურადღებო წიგნი გამოქვეყნდა შიო მღვიმელზე: *„შიო ჩვენ გვჭირდება, შიო საჭიროა ჩვენთვის“* – ასეთი სტრიქონებია მის წერილში. მან საგანგებო კრება მოიწვია სამეურნეო ბანკის შენობაში. აუცილებლად მიაჩნდა, შიო მღვიმელისთვის ფასიანი საღამო გაემართათ, მაგრამ კრებაზე ზოგიერთები წინააღმდეგნი წავიდნენ, არავინ მოვაო და საღამო არ შედგა.

სწორედ ამ პერიოდში, გაზეთ „სახალხო ფურცელში“, გამოქვეყნდა ეკატერინე გაბაშვილის წერილი, რომელიც მოუწოდებდა ბავშვებს და საზოგადოებას, ღირსეულად აღენიშნათ პოეტის იუბილე. ეკატერინე გაბაშვილის თაოსნობა დიდად მოიწონა ვაჟა-ფშაველამ და მას თავისი ხმა შეუერთა იმავე გაზეთ „სახალხო ფურცელში“, წერილით „შიო მღვიმელი“. *„დიდი მადლობის ღირსია ქალბატონი ეკატერინე ამ წერილისთვის, ასეთი ყურადღებისთვის იმ დაჩაგრული ადამიანისადმი, რომელსაც ამ 30 წლის განმავლობაში ერთი თბილი, გამამხნევებელი სიტყვაც კი არ გაუგონია თანამოძმეთაგან. არ გამოჩნდა არავინ მამაკაცთაგანი, აღენიშნა შიოს მოღვაწეობა, მისი ღვაწლი სამწერლო ასპარეზზე, ღირსეულად დაეფასებინა იგი, ჰქონოდა იმდენი გაბედულება, რომ ეთქვა: შიო მღვიმელი ნიჭიერი მწერალიაო... ნურავის ჰგონია ადვილი იყოს საბავშვო ლექსისა და მოთხრობის დაწერა, ყველაზე ძნელი სწორედ ესაა და თუ არა ღვთიური ნიჭით მირონცხებულს და სულით მდიდარს... არ შეუძლია გახდეს საბავშვო მწერალი. დიაღ, ნაცვლად იმისა, რომ ჩვენ, მამაკაცებს ამოგვეღო ხმა შიო მღვიმელზე და იმის სასარგებლოდ დილის გამართვაზე, ისევ პატივცემულმა მანდილოსანმა დაგვასწრო, მან წარმოთქვა შიოს სასარგებლოდ სიტყვა და ჩვენ, მამაკაცებს რაღა დაგვრჩენია იმის მეტი, რომ არ მივცეთ ხმა ქალბატონ გაბაშვილის მოწოდებას და სიამოვნებით არ გავეშუროთ შიო მღვიმელის დილაზე“* – ნაწყვეტი ვაჟა-ფშაველას წერილიდან „შიო მღვიმელი“.

სამწუხაროდ, ვაჟა-ფშაველას არ დასცალდა, მეგობრის საიუბილეო დილას დასწრებოდა. შიო მღვიმელის იუბილე, თითქმის, 1 წლით გადაიდო. 1915 წლის ზაფხულში ვაჟა-ფშაველა მძიმედ ავად გახდა.

შიო მღვიმელის კრებულების ბევრ წინასიტყვაობაში წერენ: 1925 წელს იუბილე გადაუხადეს შიო მღვიმელსო. ეს სიმართლე არ არის. იუბილეს გადახდას მტკიცედ ჰპირდებოდნენ ტიციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი. მახსოვს, როცა მამა ამ ამბავს მოიტანდა ხოლმე, თითქოს, აფიშაც კი იყო დაბეჭდილი, მაგრამ არც აფიშა დაბეჭდილა და არც საღამო გამართულა.

ვწუხვარ, რომ „საბავშვო ლექსის“ ზეიმი არ შედგა, მიუხედავად ორი ბრწყინვალე პოეტის მონდომებისა და სიყვარულისა, თორემ იმ საღამოზე აღებული შემოსავალი არ გაგვამდიდრებდა. იუბილეს ჩვენთვის დიდი სიხარული და პატარა შემოსავალი უნდა მოეტანა, რომ დედაჩემისთვის ფეხსაცმელი მესამედ არ დაგვეკერებინა და გვეყიდა ერთი ხელი ტანსაცმელი, ნათესავის სანახავად წასვლა რომ შესძლებოდა. გარდა ექვსტაეპიან ლექსში აღებული ფულისა, შიო მღვიმელის ჯიბეში სხვა ფული არ ჩასულა. ჩვენი ცხოვრება ღრუბლიან დღეს ჰგავდა, მაგრამ ღრუბლიანი დღეც ხომ ლამაზია, ასეთივე ლამაზი იყო ჩვენი ცხოვრებაც, მიუხედავად ყველაფრისა.

– ქალბატონო ქეთევან, როგორ გაიხსენებთ შიო მღვიმელს, არა როგორც პოეტს, როგორც მამას.

– მამა ძალიან კეთილი, უწყინარი და სათნო ადამიანი იყო. მის პირსახეს განუშორებლად ანათებდა სათნოებით აღსავსე ღიმილი. ძალიან უყვარდა სხვისი პატივისცემა, სტუმრები და ნათესავები, განსაკუთრებით კი ბავშვები, მათთან ურთიერთობა დიდად ახარებდა – *„ბავშვი, ვისიც უნდა იყოს, ჩემთვის განურჩეველია“*. ძალიან უყვარდა საქართველო. არასოდეს საუბრობდა თავის თავზე. განურჩევლად ურთიერთობდა ყველა ადამიანთან, ცუდს არასოდეს ამბობდა სხვაზე. ამიტომაც, მას დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ.

„მღვიმელი“ მამასთვის მწერალ ნიკო ლომოურს შეურქმევია. *„შენც ისეთივე სათნო და უწყინარი ხარ, ჩემო შიო, როგორც ბერი შიო მღვიმელი იყო ძველად, ამიტომ „მღვიმელი“ შენი პიროვნების და ხასიათის სწორი გამომხატველი იქნებაო“* – უთქვამს ნიკო ლომოურს. მამას მოსწონებია ნიკო ლომოურის სიტყვა და მთელი თავისი პოეტური ცხოვრება მღვიმელის ფსევდონომით გაატარა.

მამა არავის არაფერს ჰპირდებოდა. მას არც ფული ჰქონდა, არც თანამდებობა, ვისთვის რა უნდა გაეკეთებინა, მაგრამ, თუ ვინმე სთხოვდა უპატრონოთა სახლში მოთავსებას, ან საავადმყოფოში დაწვენას, ან რომელიმე ინსტიტუტში ერთი ფაკულტეტიდან მეორეზე გადაყვანას, მამა მეორე დღესვე მიდიოდა ამ საქმის გასაკეთებლად და უარით, თითქმის, არასოდეს ბრუნდებოდა. ყოველდღე ხომ არ აწუხებდა ამ ხალხს?! ასეთი შემთხვევა წელიწადში ერთხელ შეიძლება გამოჩენილიყო. ტანსაცმელი, ხელმოკლეობის გამო, ცოტა და ისიც ძველი ჰქონდა, მაგრამ ყოველთვის კოხტად გამოიყურებოდა.

მახსოვს, მამა სადმე თუ მიდიოდა, აივანზე გამოიტანდა უკვე გადაცვეთილ კალოშებს. ვაქსს უსვამდა და ჯაგრისით აპრიალებდა. ქუდს და პალტოს გაუთავებლად იწმენდდა.

მამამ მთელი ცხოვრება პურის ფულის ძებნაში გაატარა. ბოლო თორმეტი წელი აღარ უბეჭდავდნენ ლექსებს, აღარ უნდოდათ ლექსები იასა და ყაყაჩოზე. წინ რა ელოდებოდა... სიბერე და შიმშილი.

– შიო მღვიმელს, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ მწერლებთან და პოეტებთან. ალბათ, ისინი ხშირად სტუმრობდნენ თქვენთან?

– ჩვენთან ხშირად მოდიოდნენ სტუმრად ცნობილი მწერლები და პოეტები. სტუმრებს ყოველთვის მცირედით ვუმასპინძლდებოდით – ლობიო, მწნილი, პური და ღვინო იყო ჩვენი ოჯახის მუდმივი სტუმარი. სტუმრებთან მამა დამჯდარი არ მახსოვს.

ამ მაგიდას (ქალბატონი ქეთევანი ოთახში მდგარ ძველებურ მაგიდაზე მიმითითებს), თავის დროზე, ცნობილი ადამიანები უსხდნენ, რომლებსაც, ხშირად, საქართველოზე საუბარში დასთენებიათ კიდეც.

ჩვენთან ხშირად სტუმრობდნენ: ივანე ბუქურაული (იგივე თუში), ნიკო გოცირიძე, ვალერიან გუნია, თედო სახოკია, ია ეკალაძე, ლადო, გოლა, დათა ხმალაძეები, სანდრო რაზიკაშვილი, მოსე და გიორგი ხელაშვილები (ქოსებად შერქმეულნი), პოლიო ირეთელი, უმშვენიერესი წყვილი – ქეთო და ვასო მატაბელები, ლავროსი ძიძიგური, ილია აგლაძე, სანდრო შანშიაშვილი, გიორგი ქუჩიშვილი, გალაკტიონი, ვაჟა-ფშაველა, ჩემი უფაქიზესი და ტასიკო კოპაძე და სხვები.

მამა 1933 წლის 28 დეკემბერს 67 წლის ასაკში გარდაიცვალა. სუფრასთან მისი სკამი დაცარიელდა. დედა, ჩემი ორი და და მე პატრონის გარეშე დავრჩით, იმ პატრონის, ვისაც პურთან ერთად იმედიც შემოჰქონდა ოჯახში.

1934 წლის 2 იანვარს მამა დიდუბის პანთეონში დავკრძალეთ.

მამას სახელის უკვდავსაყოფად თბილისის ანანურის ქუჩის შესახვევს, სადაც ბოლო დროს ვცხოვრობდით, შიო მღვიმელის სახელი დაერქვა.

ვნანობ, რომ დღეს შიო მღვიმელის ქუჩაზე აღარ ვცხოვრობ. ქუჩაზე, სადაც ჩუმად ისევ ისმის მამას ფეხის ხმა, სადაც ზაფხულში აკაციის თეთრი ყვავილით იფინება იქაურობა, ხოლო შემოდგომაზე წვრილი ყვითელი ფოთოლი აკრავს ასფალტს.

...არ უნდა გადავსულიყავი შიო მღვიმელის ქუჩიდან.

იურისტის კონსულტაცია

სკოლას ჰყავს ისტორიის 2 მასწავლებელი: პენსიონერი მაგისტრი, რომელიც ასწავლის საშუალო საფეხურზე და ბაკალავრი – ასწავლის დაწყებით საფეხურზე. აქვს თუ არა სკოლას უფლება, გაუშვას რომელიმე მათგანი, თუ ადგილს ითხოვს სერტიფიცირებული მასწავლებელი, რომელიც სრული დატვირთვით მუშაობს სხვა სკოლაში.

სკოლაში დასაქმებული არასერტიფიცირებული პედაგოგები არ შეიძლება გათავისუფლდნენ სამსახურიდან იმიტომ, რომ სერტიფიცირებული პედაგოგი ითხოვს სამუშაო ადგილს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №576 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-5' მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პედაგოგს, რომელიც წარმატებით ჩააბარებს მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდას, უნდა ჰქონდეს სრული ან სრულზე მეტი დატვირთვა. ეს ეხება იმ სერტიფიცირებულ მასწავლებლებს, რომლებიც უკვე დასაქმებულები არიან სკოლაში, აქვთ საათობრივი დატვირთვა და ამავე სკოლაში ითხოვენ სრულ ან სრულზე მეტ დატვირთვას. ახალი სერტიფიცირებული პედაგოგის მიღება საჯარო სკოლაში არ უნდა გახდეს არასერტიფიცირებული, მოქმედი პედაგოგების სამსახურიდან გათავისუფლების წინაპირობა. ამ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 61-ე მუხლის თანახმად, 2014 წლამდე, სასერტიფიკაციო გამოცდებზე გასვლა ნებაყოფლობითია. ამავე მუხლის თანახმად, 2014 წლამდე, პედაგოგის არასერტიფიცირებულობის ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლება არღვევს „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

რას გულისხმობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაცია და აკრედიტაცია?

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ***ავტორიზაცია*** არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა, რომლის მიზანია, სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად, შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ***აკრედიტაცია*** არის აკრედიტაციის სტანდარტებთან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის განსაზღვრის პროცედურა, რომლის მიზანია განათლების ხარისხის ასამაღლებლად დაწესებულების სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა.

რას გულისხმობს მოსწავლისა და მშობლის საგანმანათლებლო არჩევანის თავისუფლება?

მოსწავლეს და მშობელს აქვთ საგანმანათლებლო არჩევანის (ბავშვის განათლებასთან დაკავშირებით მშობლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება განათლების სახეების, ფორმის, ხარისხისა და სხვათა შესახებ) თავისუფლება და სახელმწიფო იცავს მას. მშობლის საგანმანათლებლო არჩევანის თავისუფლება არ გულისხმობს:

ა) სავალდებულო განათლებისათვის (დაწყებითი და საბაზო განათლება) თავის არიდების უფლებას;

ბ) ისეთ განათლებას, რომელიც ხელს შეუშლის „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მიზნების მიღწევას.

ვის აქვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების უფლება?

მოსწავლის გაკვეთილიდან გაძევების გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს მასწავლებელს, სკოლიდან 5 დღემდე ვადით დათხოვნის გადაწყვეტილების მიღების უფლება – სკოლის დირექტორს, ხოლო 5-10 დღემდე ვადით დათხოვნის ან სკოლიდან გარიცხვის გადაწყვეტილების მიღების უფლება – დისციპლინურ კომიტეტს ფარული კენჭისყრით.

რა უნდა იქნეს გათვალისწინებული სკოლის ადმინისტრაციის მიერ მოსწავლისთვის სკოლისათვის სასარგებლო საქმიანობის დაკისრებისას?

მოსწავლისთვის სკოლისათვის სასარგებლო საქმიანობის დაკისრებისას უნდა განისაზღვროს: სასარგებლო საქმიანობის შინაარსი; მისი განხორციელების წესი და პირობები; სასარგებლო საქმიანობის განხორციელების ადგილი სკოლის ტერიტორიის ფარგლებში; მისი ხანგრძლივობა, რომელიც დაწყებითი საფეხურის მოსწავლისათვის არ უნდა აღემატებოდეს დღეში 1 საათს, საბაზო საფეხურის მოსწავლისათვის – დღეში 2 საათს და საშუალო საფეხურის მოსწავლისათვის – დღეში 3 საათს; უფლებამოსილი პირის ვინაობა, რომელიც უშუალო ზედამხედველობას გაუწევს მოსწავლის მიერ სკოლისათვის სასარგებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლისათვის სასარგებლო საქმიანობა მოსწავლეს შეიძლება დაეკისროს მშობლის თანხმობით. მოსწავლის მიერ სკოლისათვის სასარგებლო საქმიანობის განხორციელებისას მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი ეკისრება სკოლის ადმინისტრაციას.

რა ვალდებულება აქვს საჯარო სკოლის დირექტორს, როდესაც სკოლაში პედაგოგის მიმართ ხორციელდება ძალადობა, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა?

დაუშვებელია სკოლაში ძალადობა მასწავლებლის მიმართ. პედაგოგის ფიზიკური ან/და სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევაში, სკოლის დირექტორი ვალდებულია, დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (დირექტორმა საქმის კურსში უნდა ჩააყენოს შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოები, სკოლის მანდატური).

რაზე აგებს სკოლის დირექტორი პერსონალურად პასუხს?

სკოლის დირექტორი პერსონალურად აგებს პასუხს:

ა) ეროვნული სასწავლო გეგმის, განათლების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების შესრულებასა და სააღმზრდელო პროცესზე;

ბ) სკოლის საკუთრებაში არსებული ქონების და ფინანსების მიზნობრივ ხარჯვაზე, სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლა-პატრონობასა და რაციონალურად გამოყენებაზე;

გ) სკოლაში მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნაზე.

თამარ ავალიანი
საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურისტი

სასკოლო ღონისძიება

სტუმრად გალაკტიონის სახლ-მუზეუმში

10 ივნისს სსიპ ქუთაისის №8 საჯარო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლეები გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმში იმყოფებოდნენ. დიდი იყო პირველი შთაბეჭდილება, გალაკტიონის ეზოში ფეხის შედგმისთანავე. გაშლილი მწვანე მინდვრის, დიდი რუდუნებით მოვლილი პატარ-პატარა ბაღებისა და კირხსნარით შეთეთრებული მცენარეების ხილვამ მოკრძალებით განგვაწყო. მივუახლოვდით გალაკტიონისეულ სახლს, სადაც საქმის სიყვარულით, პროფესიონალიზმით, თხრობის მაღალი კულტურით საინტერესოდ გვესაუბრა პედაგოგი-გიდი **ელენე მამფორია**. მის ხმაში იგრძნობოდა სიყვარული, კრძალვა და რიდი დიდი პოეტის მიმართ. ვიხილეთ მემორიალური ნივთები, რომლებსაც თვით პოეტი და მისი ოჯახის წევრები ხმარობდნენ; ვნახეთ კერა, სადაც, თურმე, დღედაღამ ცეცხლი ენთო; ყურადღება მიიპყრო თარომ, რომელზეც „ვეფხისტყაოსანი" და სასულიერო წიგნები ინახებოდა; ვიხილეთ კიბე, რომლითაც გალაკტიონი ბავშვობაში სარგებლობდა და რომლის პირველი საფეხურიც ჩაუტყდა, დედის სიკვდილის შემდეგ მშობლიურ სახლში დაბრუნებულ პოეტს. ქალბატონი ელენე ემოციურად მოგვითხრობდა იმ განცდებზე, რომელიც დედის გარდაცვალებას მოუტანია პოეტისთვის.

გალაკტიონის სახლ-მუზეუმის შემდეგ ტიციანის სახლიც დავათვალიერეთ. თვალშისაცემი იყო განსხვავება ამ ორი დიდი პოეტის ცხოვრების პირობებს შორის. გალაკტიონის ოჯახში საოცარი სიღარიბე იგრძნობოდა, ხოლო ტიციანთან აშკარად შეძლებული ოჯახის პირობები ჩანდა.

კვლავ გალაკტიონის ეზოს დავუბრუნდით და გადავწყვიტეთ, მის ერთ-ერთ საექსპოზიციო დარბაზში ღონისძიება ჩაგვეტარებინა და ამით დიდი პოეტისათვის პატივი მიგვეგო. სიხარულით მიიღო ჩვენი წინადადება სახლ-მუზეუმის ახალბედა, მაგრამ ორგანიზებულმა და საქმის კეთების დიდი სურვილის მქონე ახალგაზრდა დირექტორმა **ფერიდე მატარაძემ**.

„გალაკტიონი, პოეტების მეფე" – გაიჟღერა დარბაზში მთრთოლვარე ხმამ, რასაც მოჰყვა უამრავი ლექსი, გამონათქვამი, სიმღერები შეასრულეს მოსწავლეებმა: **გოჩა მანაგაძემ, ვახტანგ პაპაშვილმა** და **გიგა სულამანიძემ**. ღონისძიებამ მიზანს მიაღწია. კმაყოფილმა მშობლებმა გულწრფელი მადლობა გადაუხადეს ღონისძიების ხელმძღვანელს, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს – **მზია ზარნაძეს**, კლასის დამრიგებელ **სოფიო ბასილაძეს**.

მუზეუმის დირექტორმა ფერიდე მატარაძემ და პედაგოგ-გიდმა ელენე მამფორიამ მადლობა გადაგვიხადეს და კმაყოფილება გამოთქვეს: *დღევანდელი დღე იყო რეალური მაგალითი იმ კავშირისა, რომელიც უნდა არსებობდეს სკოლასა და მუზეუმს შორის.* გვთხოვეს, დაწყებული კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა კვლავ გავაგრძელოთ, დაგვპატიჟეს ნოემბრის თვეში, როცა „გალაკტიონობა" იმართება ხოლმე და საჩუქრად გადმოგვცეს გალაკტიონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ბუკლეტები.

გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების სახლ-მუზეუმებში გატარებული დღე დაუვიწყარი იქნება მე-8 სკოლის მეხუთეკლასელებისათვის.

მზია ზარნაძე
სსიპ №8 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

სასკოლო ღონისძიება

„თეთრი კლავიში, შავი კლავიში“

უპირველესად მინდა მადლობა გადაგიხადოთ, რადგან თქვენი გაზეთის საშუალებით შესაძლებლობა მეძლევა, პატივისცემით მივესალმო არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონთან“ (დირექტორი – **ალექსანდრე ჯავახიშვილი**, მოადგილეები: **ვენერა ჩიფჩიური** და **მარიკა ილურიძე**) არსებულ ლიტერატურულ-მუსიკალურ სტუდია „სახიონის“ პედაგოგებსა და მოსწავლეებს.

სტუდიის ხელმძღვანელი და მეტყველების პედაგოგი, მსახიობი **ნატა ცხადაძე** დიდი მონდომებით, ენთუზიაზმითა და თავდაუზოგავი შრომით აღწევს იმ საოცარ შედეგებს, რასაც ბავშვის სამეტყველო, თეატრალური, ინტელექტუალური და შემოქმედებითი აღზრდა ჰქვია. ასევე განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ვოკალის პედაგოგის – **ქეთევან ბუნტურის** უდიდესი როლი, რომელსაც ის ასრულებს ბავშვების როგორც სტუდიურ, ასევე ყოველდღიურ ცხოვრებაში. გემოვნებიანი მუსიკა და ჟღერადი ხმის ტემბრი – ეს არის მისი ძირითადი მოთხოვნა, რაც უდიდესი წარმატების საწინდარი გახდა არაჩვეულებრივი ლიტერატურულ-მუსიკალური სპექტაკლისა „თეთრი კლავიში, შავი კლავიში“, რომელიც „სახიონელებმა“ წარმოგვიდგინეს.

სპექტაკლის მონაწილეებმა დაუვიწყარი საღამო გვაჩუქეს. პატარა მსახიობები: **მარიამ ჩოხელი, მარიამ ელიოზაშვილი, ნინო შავლაძე, ნინი გიგაური, თეკლა კაპანაძე, ანა მათიაშვილი, ეკა ტაბატაძე, ნინი მანელოვი, ლიზა ცაძიკიძე, მარიამ დევრისაშვილი, გიორგი დევრისაშვილი, ნიკოლოზ ცაძიკიძე და თორნიკე ჭანტურია** სასიამოვნო აურზაურს ქმნიდნენ კლავიშების ჰარმონიით აღსავსე ცხოვრებაში.

მთელი სპექტაკლის განმავლობაში გრძელდებოდა მათი „დუელი“, რაც იუმორით სავსე, ლაღ და დაუვიწყარ ატმოსფეროს ქმნიდა. პატარებმა მხატვრული კითხვის ხელოვნების ნიმუში აჩვენეს – ორიგინალურად წაიკითხეს: დავით ევგენიძის, რატი ამაღლობელის, ინოლა გურგულიას, შოთა ნიშნიანიძის, მუხრან მაჭავარიანის, ანზორ სალუქვაძის, მორის ფოცხიშვილისა და ვეკა დგებუაძის ლექსები.

მოხიბლული მაყურებელი ტაშსა და ოვაციებს არ იშურებდა სპექტაკლის მონაწილეების – **მაგდა ონიკაშვილის, ანანა ცისკარიშვილის, თათია კორკოტაშვილის, ქეთევან ხოჯანაშვილის, ელენე ჯოხარიძის, მაიკო კიკნაველიძისა დ ანა კვეკვესკირის** მისამართით, რომლებმაც თავიანთი შემოქმედებით საქართველოს კუთხეები შემოგვატარეს.

დარბაზში ისმოდა გურული, იმერული, რაჭული, თუშური, მეგრული, კახური, აჭარული ხალხური სიმღერები, უდიდესი მადლობა სტუდიის პედაგოგებს, პატარებს საკუთარ ფესვებთან რომ აახლოებენ, უძლიერებენ სამშობლოსა და ხალხური საგანძურის სიყვარულსა და პატივისცემას. ხალხურ სიმღერებს ენაცვლებოდა საესტრადო მელოდიები.

ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა მაგდა ონიკაშვილის, ანანა ცისკარიშვილის, თათია კორკოტაშვილის, ქეთევან ხოჯანაშვილის, ელენე ჯოხარიძის, მაიკო კიკნაველიძისა და ანა კვეკვესკირის მიერ მაღალი პროფესიონალიზმითა და არტისტიზმით შესრულებულმა ქართული და მსოფლიო ჰიტების პოპურმა.

სპექტაკლი სტუდიის ჰიმნით დასრულდა, რამაც დააგვირგვინა და მეტი ხიბლი შესძინა ისედაც ულამაზეს საღამოს.

ბედნიერი ვარ, რომ ჩემი შვილი ამ ბრწყინვალე გუნდის წევრია. როგორც ვიცი, სტუდია „სახიონის“ დასი ქობულეთში მიემგზავრება სიმღერის ფესტივალზე „ჩემი ლამაზი ქვეყანა“. მჯერა, იქაც ისახელებენ თავს.

კიდევ ერთხელ ვუხდი მადლობას პედაგოგებს – ნატა ცხადაძესა და ქეთევან ბუნტურს მაღალი პროფესიონალიზმისა და დაუღალავი შრომისათვის. წარმატებებს და დიდ მიღწევებს ვუსურვებ „სახიონელებს“.

ანა ხუციშვილი

ინფორმაცია

* * *

ინფორმაცია გაცდენებთან დაკავშირებით, რომელიც გავრცელდა სოციალურ ქსელებში, არ შეესაბამება რეალობას. კერძოდ, მოსწავლისთვის ნიშნის დაკლება განისაზღვრება იმავე წესის მიხედვით, რაც ცნობილი იყო სასწავლო წლის განმავლობაში სკოლის ადმინისტრაციისთვის და მოსწავლეებისთვის. საგნობრივი საათების გაცდენის გამო ნიშნის დაკლება სემესტრის მიხედვით ამოქმედდება მომავალი სასწავლო წლიდან

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური პროფესიულ კოლეჯში „სპექტრი“ პრეზიდენტის მიერ ინიცირებული ვაუჩერული დაფინანსების პროექტის მეორე ეტაპზე დარეგისტრირებულ მსურველებს შეხვდა და მათთან ერთად დაათვალიერა უახლესი სიმულატორებით აღჭურვილი კლას-კაბინეტები, შემდუღებლების, მეფილეებისა და ელექტრიკოსების რეაბილიტირებული სახელოსნოები. პროფესიულ სტუდენტთა ახალ 150-კაციან ნაკადს „სპექტრი“, უახლოეს მომავალში, ვაუჩერული დაფინანსების მეორე ეტაპზე მიიღებს.

ნიკა გილაური ვაუჩერული დაფინანსების პროექტის პირველ ეტაპზე კოლეჯ „სპექტრში“ ჩარიცხულ სოციალურად დაუცველ სტუდენტებსაც გაესაუბრა. 7 მაისს კოლეჯში 1000-ლარიანი ვაუჩერით დაფინანსებული 250 სოციალურად დაუცველი სტუდენტი უკვე შეუდგა სწავლას.

ამ ეტაპზე, საქართველოს მასშტაბით, უკვე დაფინანსებულია 2500 სტუდენტი, მათ შორის 1700 – სოციალურად დაუცველი. პროფესიული განათლების დაფინანსების მეორე ეტაპზე, სამინისტრო 1000-ლარიანი ვაუჩერით 1500 მსურველს დააფინანსებს. მესამე ეტაპზე, რომელიც შემოდგომაზე გამოცხადდება, ვაუჩერს კიდევ 2500 მსურველი მიიღებს.

პროფესიული განათლების დაფინანსების ახალი სისტემა, საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, 2012 წლიდან მოქმედებს და ამ პროექტისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 7 მილიონი ლარია გამოყოფილი. 1000-ლარიანი ვაუჩერით სახელმწიფო შემდეგი კატეგორიის მსურველებს აფინანასებს:

♦ სოციალურად დაუცველები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს;

♦ პირები, რომლებმაც 2011-2012 სასწავლო წელს დაძლიეს საბაზო განათლების საფეხური (9 კლასი) და სწავლა არ განაგრძეს შემდგომ საფეხურზე;

♦ პირები, რომლებმაც 2011-2012 სასწავლო წელს დაძლიეს ზოგადი განათლების საფეხური და არ დარეგისტრირდნენ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე;

♦ ყველა დანარჩენი მსურველი, რომელიც გაივლის ტესტირებას ზოგად უნარებში და გადალახავს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.

♦ მსურველი თანადაფინანსებით შემოდის სასწავლებელში (70% – სახელმწიფო, 30% – მსურველი).

სახელმწიფოს მიერ ინიცირებული პროფესიული განათლების დაფინანსების ახალი სისტემა საშუალებას აძლევს ყველა მსურველს, დაეუფლოს სასურველ პროფესიას, ისწავლოს, იშრომოს, გახდეს პროფესიონალი და დასაქმდეს. შრომის ბაზარზე პროფესიული კადრების დიდი მოთხოვნაა, პროფესიული კოლეჯების კუსდამთავრებულების 75% მაღალანაზღაურებად სამუშაოზე საქმდება.

ინფორმაცია

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ კოკა სეფერთელაძემ მათემატიკური კონკურსის „იმედი ხვალის“ გამარჯვებულებს პერსონალური კომპიუტერები გადასცა.

კონკურსში თბილისის სკოლების III-VI კლასების მოსწავლეები მონაწილეობდნენ. მისი მიზანი იყო განსაკუთრებული მათემატიკური ნიჭით დაჯილდოებული ბავშვების ადრეულ ასაკში გამოვლენა.

კონკურსი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა და მისი ორგანიზატორები იყვნენ: საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე და თბილისის 24-ე საჯარო სკოლა.

კონკუსის პირველ ტურში თბილისის სხვადასხვა სკოლებიდან 1200-მდე მოსწავლე მონაწილეობდა, მეორე ტურში 274 მონაწილე გადავიდა. დაჯილდოების ცერემონიაზე მეორე ტურის შედეგები გამოცხადდა და გამარჯვებულებმა დიპლომები და ფასიანი საჩუქრები მიიღეს.

მონაწილეები დაასაჩუქრეს და დიპლომები გადასცეს სასკოლო ოლიმპიადების სფეროში მოღვაწე მეცნიერებმა, საქართველოს მოსწავლეთა ინფორმატიკისა და მათემატიკის ნაკრებების მწვრთნელებმა, მიმდინარე და გასული წლების ეროვნული ნაკრებების წევრებმა, საერთაშორისო და ეროვნულ სასკოლო ოლიმპიადებზე წარმატებულმა მოსწავლეებმა.

კონკურსი ტარდება „ნიჭიერ ბავშვებთან მუშაობის პროგრამის“ ფარგლებში, რომელიც საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრ „მზიურში“ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოქმედებს.

* * *

ერთიანი ეროვნული გამოცდების, მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდისა და საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტები თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან პოლიციის შენობებში გადაიტანეს. ტესტები თბილისისა და რეგიონების მთავარ სამმართველოებში განთავსდება, რითაც მაქსიმალურად იქნება უზრუნველყოფილი მათი დაცვა და უსაფრთხოება.

2012 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის ტესტები კონფიდენციალური დოკუმენტაციის ბეჭდვაში აღიარებულმა ბრიტანულმა კომპანია „სტივენ ოსტინმა“ დაბეჭდა.

1768 წელს დაფუძნებული კომპანია „სტივენ ოსტინი“ დღეისათვის მსოფლიოს 20 ქვეყნის საგამოცდო ცენტრსა და განათლების სამინისტროს ემსახურება.

ტესტების შეფუთვისა და ტრანსპორტირებისას დაცული იქნა უსაფრთხოების ყველა ზომა – საგამოცდო ტესტები მოთავსდა სპეციალურ პოლიეთილენის პაკეტებში, რომელთა გახსნა დაზიანების გარეშე შეუძლებელია. პაკეტები ჩაეწყო ყუთებში და დაილუქა. ყუთები განთავსდა კონტეინერში, რომელსაც ასევე სამი სხვადასხვა ტიპის ლუქი დაედო.

საგამოცდო ცენტრებს ტესტები უშუალოდ გამოცდის დღეს მიეწოდება. დალუქული ყუთების ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს საქართველოს ფოსტა. მათი გადაადგილება საპატრულო პოლიციის თანხლებით მოხდება.

წელს, მთელი საქართველოს მასშტაბით, 17 საგამოცდო ცენტრი გაიხსნება. ერთიანი ეროვნული გამოცდები 28 ივნისს დაიწყება და 19 ივლისს დასრულდება.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პროფესიული განათლების მსურველთათვის 1000-ლარიანი ვაუჩერების გაცემის მეორე ეტაპს იწყებს. ამჯერად, 1500 მსურველი შეძლებს სასურველი პროფესიის დაუფლებას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი თბილისის საინფორმაციო ცენტრს ეწვია და პროფესიული განათლების მიღების მსურველს 1000-ლარიანი ვაუჩერი თავად გადასცა.

1000-ლარიანი ვაუჩერების გაცემის მეორე ეტაპზე სამინისტრო ყველა მსურველს დააფინანსებს, მათ შორის: სოციალურად დაუცველ სტუდენტებს, მიმდინარე წლის ცხრაკლასდამთავრებულებს და იმ მეთორმეტეკლასელებს, რომელთაც სკოლის დამთავრების შემდეგ პროფესიული განათლების დაუფლება გადაწყვიტეს. მესამე ეტაპზე, რომელიც შემოდგომაზე გამოცხადდება, ვაუჩერს კიდევ 2500 მსურველი მიიღებს. ამჟამად კი, უკვე დაფინანსებულია 2500, მათ შორის 1700 სოციალურად დაუცველი სტუდენტი, რომლებიც პროფესიას თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ სხვადასხვა კოლეჯებში ეუფლებიან.

პროფესიული განათლების ვაუჩერული დაფინანსების პროექტი, 2012 წელს, საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით ამოქმედდა. სამინისტრო პროფესიული განათლების რეფორმებს რამდენიმე მიმართულებით ახორციელებს. ხელს უწყობს როგორც კოლეჯების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება-რეაბილიტაციას, ასევე დიდ ყურადღებას აქცევს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მომზადებული კადრების კვალიფიკაციას.

სახელმწიფოს ამოცანაა პროფესიული განათლების ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც, ერთი მხრივ, თავსებადი იქნება საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტებთან, მეორე მხრივ, სრულად დააკმაყოფილებს ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებს. ვაუჩერების გაცემა თბილისის, ქუთაისისა და ქობულეთის საინფორმაციო ცენტრებში ერთდროულად დაიწყება.

სპორტი

ხსოვნას პატივი მიაგეს

სამი წლის წინ დედაქალაქის 115-ე საჯარო სკოლამ ერთ ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი – სპორტული ღონისძიებით მიაგებს პატივს ამავე სკოლის ტრაგიკულად დაღუპული მოსწავლის – **ონისე ბეშიძის** ხსოვნას. ბეშიძე ფეხბურთზე დადიოდა და სკოლაც ხსოვნის ტურნირს მინი-ფეხბურთში ატარებს.

წლევანდელი შეჯიბრება სასკოლო კლუბ „მორკინალის“ ორგანიზებით გაიმართა, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი 115-ე სკოლაა. ამჯერად ტურნირი განსხვავებული, უფრო ფართო ფორმატით ჩატარდა – შარშან თუ მხოლოდ გლდანის მასშტაბით გაიმართა და მხოლოდ 9 საჯარო სკოლა მონაწილეობდა, წლეულს დედაქალაქის 5 რაიონის 22 სკოლა ასპარეზობდა. წლევანდელ ტურნირში გლდანის, ავჭალის, თემქის, ნაძალადევის დასახლებებისა და ძველი თბილისის რაიონის გუნდები გამოდიოდნენ. პირველ ეტაპზე სწორედ შიდა სარაიონო პირველობები გაიმართა, 2-2 საუკეთესო გუნდი კი მეოთხედფინალიდან პლეი ოფში ჩაება.

ფინალში მონაწილეობის უფლება 115-ე (სპორტის მასწავლებელი – **გია ბეგიაშვილი**) და 207-ე (მასწავლებლები: **გიორგი კალანდაძე**, **დავით ხავთასი**) საჯარო სკოლებმა მოიპოვეს. სპორტკლუბ „მორკინალის“ ძირითადი ბაზა 115-ე სკოლაა და მათი ნაკრებიც ამავე სახელწოდებით გამოდიოდა. ფინალიც მათსავე მინი-ფეხბურთის მოედანზე გაიმართა, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ იქაური ქომაგები ბევრად სჭარბობდნენ 207-ე სკოლელებს. ოღონდ მასპინძლები უფრო მომზადებულები ჩანდნენ თავისიანთა საგულშემატკივროდ. მათ ტრანსპარანტიც კი გამოფინეს წარწერით – „115-ე ძლიერია!“

ფინალური შეხვედრა ადგილობრივი სკოლის მომღერალთა გუნდის მიერ შესრულებული ეროვნული ჰიმნით გაიხსნა, თუმცა მომღერლებს არც ფეხბურთელები ჩამორჩნენ, მერე კი მოედანზეც თვალსასაერო სანახაობა გააჩაღეს. როგორც ბავშვთა სპორტულ პაექრობებს ახასიათებს, ეს შეხვედრაც დაძაბული და საინტერესო გამოდგა – ძირითადი დრო ფრედ დასრულდა – 2:2, გამარჯვებული კი პენალტების სერიამ გამოავლინა.

თამაში გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, ანგარიში მასპინძელთა წარმომადგენელმა **რეზო ჩხენკელმა** გახსნა – 1:0, რაც რამდენიმე წუთში 207-დან **დავით სილაგავამ** გაქვითა – 1:1. შეხვედრის მიწურული თრილერს დაემსგავსა – ჯერ **ალეკო პაიკიძემ** კვლავ დააწინაურა 115-ე სკოლა, მაგრამ ადგილობრივებს **გურამ ხარძეიშვილმა** სიხარული დიდხანს არ დააცალა და კვლავ გააყაიმა – 2:2. ამჯერად, მასპინძელთაგან გოლი არ გაუტანია **ბექა ბექაურს**, რომელმაც იმავე მოედანზე ამას წინათ ჩატარებული მორიგი საფეხბურთო შეჯიბრებიდან დაგვამახსოვრა თავი. მას ურიგოდ არც ამჯერად უთამაშია, მაგრამ ბურთი ძველებურად აღარ ემორჩილებოდა. ამის მიუხედავად, ტურნირის ბომბარდირი მაინც გახდა.

მასპინძელი „მორკინალიდან“ მეკარე **გიორგი მამარდაშვილმაც** მიიქცია ყურადღება – მშვენიერი ნახტომებით და კარგი თამაშით, თუმცა პენალტების სერიაში სწორედ მისი მოქმედება იქცა სადავოდ. შეჯიბრების დებულების თანახმად, ძირითადი დროის ფრედ დასრულების შემდეგ პენალტები დაინიშნა. საბოლოოდ 115-ე სკოლამ 4:2 მოიგო, თუმცა რიგ ეპიზოდებში მამარდაშვილი წინასწარ გამოდიოდა კარიდან, რაც წესის დარღვევაა. ამიტომ 207-ეს ფეხბურთელებს რამდენიმე გატანილი პენალტი თავიდან დაარტყმევინეს, რომელთაგანაც ზოგი ვეღარ გაიტანეს. ცხადია, ამან ბავშვებსა თუ უფროსებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ ანგარიში უცვლელი დარჩა. ნამდვილად საცოდაობა იყო ატირებული პატარების ნახვა – ეს ამ მართლაც ლამაზი ორთაბრძოლის უსიამოვნო დასასრული იყო. ბიჭებს წაგება არასოდეს გაახარებდათ და იქნებ სხვა დროსაც ეტირათ, მაგრამ ამჯერად ცეცხლზე ნავთი მოვლენათა ზემოხსენებულმა განვითარებამ დაასხა. არადა, კიდევ ვიმეორებთ – მამარდაშვილმა კარგად ითამაშა და ჯერ კიდევ მოთელვისას მიიქცია ყურადღება. ტურნირის საუკეთესო მეკარედაც დაასახელეს, რასაც სავსებით იმსახურებდა. თავის მხრივ, 207-ეს მოთამაშეებმაც არაფერი დააკლეს ლამაზი სანახაობისთვის, მათი თუნდაც მეორე გოლი რად ღირდა!

ტურნირში მესამე ადგილი მე-14 საჯარო სკოლამ (მასწავლებელი – **გიორგი ყაჭეიშვილი**) უბრძოლველად დაიკავა, რადგან მე-6 სკოლა არ გამოცხადდა.

დაჯილდოების ცერემონიალზე ტურნირის მონაწილეებს ონისე ბეშიძის მამა მიესალმა, პრიზიორებს წარმატება მიულოცა და მიღწევები უსურვა სწავლასა და ცხოვრებაში. დაჯილდოებას სპორტკლუბ „მორკინალის“ პრეზიდენტი, პარლამენტარი, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **გიორგი ასანიძე** უძღვებოდა, რომელმაც მედლები და სიგელები გადასცა გამარჯვებულ გუნდებს. როგორც გითხარით, ტურნირის ბომბარდირი ბექაური გახდა, საუკეთესო მეკარედ კი მამარდაშვილი დაასახელეს. შეჯიბრების საუკეთესო ნახევარმცველად **ლუკა კანკია** (207-ე სკოლა) აღიარეს, საუკეთესო მცველად – ზემოხსენებული ხარძეიშვილი, ფინალური შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ კი გოლის ავტორი პაიკიძე დაასახელეს.

ირაკლი თავაძე

ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე

სასიხარულო ცნობა მოვიდა ლოზანიდან, სადაც განთავსებულია FIVB-ს (ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაცია) ოფისი. ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ლევან ახვლედიანი** ტექნიკურ დელეგატად დაინიშნა.

„მოხარული ვარ, რომ ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ჩემზე შეაჩერა არჩევანი და მეტად საპასუხისმგებლო მისია დამაკისრა. როგორც სპორტსმენისათვის ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობა დიდი წარმატებაა, ასევე სპორტული ჩინოვნიკისათვის ამ დიდ ფორუმში მონაწილეობა კარიერაში მნიშვნელოვან მიღწევად ითვლება. ჩემთან ერთად იმუშავებენ ისეთი დიდი საფრენბურთო ქვეყნების წარმომადგენლები, როგორებიცაა: ბრაზილია, აშშ, იტალია, ესპანეთი და პორტუგალია. როგორც ვიცი, პირველი ქართველი ვარ, რომელსაც საერთაშორისო ფედერაციამ ანდო ოლიმპიური თამაშების ჩატარებაზე კონტროლი. ასე რომ, ორმაგად გახარებული ვარ – ერთი მხრივ, ჩემს პატარა ქვეყანას წარმოვადგენ, მეორე მხრივ, აქამდე ამ რანგში ქართველს არ უმუშავია სპორტის არც ერთ ოლიმპიურ სახეობაში.” – განაცხადა ლევან ახვლედიანმა.

საქართველოს ფრენბურთის ფედერაცია

სიახლე!



კლასიკური პოეზია

სამი ტომის ფასი 21 ლარი

თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ძართული ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პროფესიები
9. რიცხვები
10. ხილ-ბოსტნეული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საძართველო

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საძართველოში
3. გარეული ცხოველები საძართველოში
4. მწერები
5. ძართული ხალხური საკრავები
6. ძვეწარმავლები საძართველოში
7. საძართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
11. ძველი რომი
12. მსოფლიოს დროშები
13. ზღვის დინებები
14. ძიმური ელემენტების პერიოდული სისტემა
15. სამყაროს წარმოშობა
16. ძართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის

მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. მირზა გელოვანი
6. აკაკი გაძრაძე
7. ვასილ ბარნოვი
8. პაოლო იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. იოსებ გრიშაშვილი
11. პოლიკარპე კაკაბაძე
12. გურამ რჩეულიშვილი
13. იაკობ ხუცესი
14. იოანე საბანისძე
15. დავით გურამიშვილი
16. ბესიკი
17. რევაზ ინანიშვილი
18. ალექსანდრე ჭავჭავაძე
19. აკაკი წერეთელი
20. რუსთაველი
21. ვაჟა-ფშაველა
22. თეიმურაზ I
23. ვახტანგ VI
24. გიორგი მერჩულე
25. გრიგოლ ორბელიანი
26. დავით ალმაშენებელი
27. გურამ ასათიანი

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ცისფერი ბალერინები - დეგა
2. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
3. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
4. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი
6. მენინები - ველასკესი
7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
8. მხატვრის ბალი - კლოდ მონე
9. უძლები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
10. საძანელა - რენუარი
11. საკვირაო გასეირნება, გრან-ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 577132283. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

ქართველი მწერლები

- ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული), I-IV ტომი, – 11 ლარი
- ალექსანდრე ყაზბეგი (2-ტომეული), I-II ტომი, – 11 ლარი
- მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული), I-VII ტომი – 11 ლარი
- ლევან გოთუა (7-ტომეული), I-II ტომი – 16 ლარი
- ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული), I-II ტომი – 15 ლარი
- კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, III, VI, VII,VIII ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
- რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული), I-VI ტომი – 12 ლარი
- ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული), I-IV ტომი –12 ლარი
- გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-II ტომი – 12 ლარი
- ოტია იოსელიანი (10-ტომეული), I-IX ტომი – 12 ლარი
- თამაზ ჭილაძე (6-ტომეული), I-VI ტომი – 10 ლარი
- გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული), I-IV ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

გამომცემლობა ,,დიოგენესა“ და გაზეთ ,,ახალი განათლების“ სპეციალური პროექტი

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

თუ თქვენ წიგნის მოყვარული ბრძანდებით,
შეგიძლიათ ისარგებლოთ ჩვენი შემოთავაზებით.

გამოიწერეთ წიგნები და მიიღეთ სპეციალურ ფასად

საყმაწვილო ენციკლოპედია
„მუსიკა“

~~29.90~~

17 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია
„სპორტი“

~~29.90~~

10 ლარი



კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი ლიტერატურის შემსწავლელთა და მოყვარულთათვის

ავტორი თამაზ ვასაძე

11 ლარი

მოსწავლეებისა და პედაგოგების სამაგიდო წიგნი
თამარ ბეროზაშვილი
„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“

~~14.90~~

10 ლარი

„ახალი განათლების“ წიგნის თარო

მიმდინარეობს ხელმოწერა

გადმორიცხვისას აუცილებლად მიუთითეთ
ქალაქი, რაიონი, სოფელი, სკოლა, სახელი და გვარი.

შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
032 295 80 23; 0790 95 80 23; 577 13 22 83.

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ა/აGE93LB0113314052305000, ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კLBRTGE22

შეგვეკვეთეთ!



მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია
~~45~~ 35 ლარი

საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია
~~30~~ 26 ლარი

ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია
~~40~~ 30 ლარი

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

ერთი ტომი – 12 ლარი

- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- ერიხ მარია რემარკი - **სამი მეგობარი**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები** ახალი
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა** ახალი
- მაინ რიდი - **კვარტერონი** ახალი



„რა არის რა“
50–ტომეული.
ერთი ტომის ფასი
11 ლარი
გაყიდვაშია სერიის 27 ტომი



ილია ჭავჭავაძე, ორტომეულ'
ორტომეულის ფასი 16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი
ფასი 5,70 ლარი

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 577 132283.
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს ,,ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. ,,საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

ISSN 2233-386X

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

9 772233 386008 >

CMYK